# ვიდრე ისტორიის ქარი ამოქროლდებოდეს...

> *ვიცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავს ათასნაირ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი დაუნდობლად გაფანტავს ყოველგვარ ნაგავს!*
>
> **ი.სტალინი.** 1943 წ.

ცოცხალ სტალინს კაციჭამია ჰიტლერი ვერ მოერია და თავი თავისსავე ბუნაგში ამოიბუგა, მკვდარ სტალინს ნიკიტუშკა დურაჩოკი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა და სამარცხვინოდ დაასრულა თავისი ვაიპირველკაცობა, ჰიტლერისა და ხრუშჩოვის ბნელი საქმე – სტალინის აჩრდილთან ბრძოლა თავისი ქვეყნის დამაკნინებელმა და ორდღიან ომში თავისმომჭრელად დამარცხებულმა ვაიმთავარსარდალმა, ახალი დროის „სტალინჭამია“ სააკაშვილმა განაგრძო – კიდევ ერთი „დევნილი“ შემატა ასიათასობით ქართველ დევნილს – ღამის სიბნელეში ქურდულად „მოუნაცვლა ადგილი“ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ ომში გამარჯვებულ მთავარსარდალს...

საქართველოს ძეგლებთან ომი გრძელდება, ერის თავმოყვარეობა ყოველდღიურად ილახება, სამწუხაროდ, ამჟამინდელ გაგანია უმუშევრობასთან, შიმშილთან, უიმედობასთან და სიბრიყვე-უმეცრებასთან მებრძოლი კი არავინ არ ჩანს, ვაი რომ აშკარად პარპაშებს შუმი ბოროტება!..


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 ივნისი, 2010 წელი.

№119 (6485)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფულიღებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



## ეს რა „სარდალი“ გავზარდეთ, ძეგლებთან მეომარია!..

**საჭიროდ** მიმაჩნია და უნდა გაგახსენოთ, ჯერ ერთი, იმის შესახებ, რომ არც საფრანგეთის რევოლუციას, არც ნაპოლეონს, არც სხვა ვინმეს არ გაუკეთებია ისტორიაში იმდენი, რამდენიც მან გააკეთა. რუსეთი 1917 წლის შემდეგაც ხომ დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. მან კი ნამდვილად გარდაქმნა იგი, იმ გზაზე დააყენა, რომელი გზითაც ორმოცი წელი იარა და, ასე განსაჯეთ, დღემდე მიდის. მეორეც, მიმაჩნია, რომ მის სახელთან განუხრელად არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა. ჰიტლერს რომ გაემარჯვა საბჭოთა კავშირზე, უკვე აღარ იქნებოდნენ რუსები. მაგრამ აღარ იქნებოდნენ არც ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები. როგორც გნებავთ, ის გენიალურია კიდევ იმიტომ, რომ ამ ბოლო მსოფლიო ომის წლებში მან შეძლო თავის მოკავშირეებად გაეხადა ინგლისელებიც, ამერიკელებიც, ფრანგებიც.

**ალექს დე ჟონგი,**
**ამერიკელი პროფესორი, ისტორიკოსი**





ახალი დროის „სტალინჭამიათა“ კიდევ ერთი „ნავაჟკაცარი“...

## გორში სტალინის ძეგლი აიღეს

**გორში გვიან ღამით სტალინის ძეგლი აიღეს. დემონტაჟი სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. უსაფრთხოების მიზნით პოლიციამ მიმდებარე პერიმეტრი გადაკეტა.**

მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ძეგლს სტალინის სახელობის მუზეუმში გადაიტანენ, ხოლო მის ადგილზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული ქართველების მემორიალი აღიმართება.

საბჭოთა კავშირის ლიდერის 6-მეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება გორის ცენტრში მის სიცოცხლეშივე, 1952 წელს დაიდგა. ის გრანიტის 9-მეტრიან კვარცხლბეკზე იყო აღმართული.

ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტები გორში, სტალინის ძეგლის დემონტაჟის დროს განვითარებული მოვლენების დეტალებს ჰყვებიან .

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტმა ლადო ბიჭაშვილმა განუცხადა, მას და მის ოპერატორს იმედა გოგოლაძეს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მაშინ მიაყენეს, როდესაც ძეგლის დემონტაჟის პროცესს ტელეკამერით იღებდნენ.

ბიჭაშვილის განმარტებით, პოლიციელებმა ისინი წიხლებით ფეხებში და ზურგზე სცემეს, რათა ფიზიკური დაზიანების კვალი ნაკლებად დატყობოდათ, გადაღებული მასალა კი წაართვეს.

იხ. 3 გვ.

ცვლილებები, ცვლილებები...

# ტრიალებს, ბრუნავს, ტრიალებს, ბრუნავს, მინისტრთა კაბინეტი რომ ჰქვია

როგორც ცნობილია, 2003 წლიდან საქართველოში ერთი მეტად საინტერესო წესი დამკვიდრდა. ჩვენი ხელისუფლება, როდესაც რაიმე მორიგი სისულელის ჩადენას აპირებს, ამას პარასკეობით ანხორციელებს. ასევე არასოდეს არ სჩადის მხოლოდ ერთ „შეცდომას“ (ძალიან რბილად რომ ვთქვად, ყოველთვის ორ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ „სიუჟეტებს“ გვთავაზობს.

ამ წესს თავისი ახსნა აქვს. პარასკევს სხვადასხვა „კურიერებით“ გახმიანებულ ქმედებას, შაბათ-კვირას საზოგადოების რეაქცია ძნელად რომ მოჰყვეს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ „უიკენდი“ ინფორმაციულ თუ საპროტესტო თვალსაზრისით საკმაოდ პასიური პერიოდია. რაც შეეხება ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ „სიუჟეტს“, ესეც გასაგებია, ისინი ნაკლები სისულელით ცდილობენ შედარებით დიდი „შეცდომის“ გადაფარვას.

თქვენ წარმოიდგინეთ, და ამ წესმა იმდენად დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი მოსახლეობის ცნობიერებაში, რომ ხელისუფლების ნებისმიერი ქმედება, რომელიც პარასკეობით ხორციელდება, შეცდომად და მიუღებლად აღიქმება.

სწორედ ასე მოხდა ამ პარასკევსაც. გორში, ღამის 12 საათზე. ქურდულად და მოპარვით სტალინის ძეგლის აღება გადაიფარა მინისტრთა კაბინეტში მომხდარი ცვლილებებით. რა თქმა უნდა, ძეგლის გატანასთან დაკავშირებით ბევრი რამ დაიწერა, ბევრი რამ ითქვა, მაგრამ სამწუხაროდ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამით არაფერი არ შეიცვლება.

რაც შეეხება ე. წ. მინისტრთა კაბინეტის იმ ცვლილებებს, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას „ახალი გამოწვევების“ წარმატებით გადაჭრა და დიადი ნაბიჯების გადადგმა“ უნდა შეაძლებინოს.

ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ზურაბ პოლოლიკაშვილი ვერა ქობალიამ შეცვალა. ბატონი ზურაბი ალბათ ისევ დიპლომატიურ „მოღვაწეობას“ გააგრძელებს. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული მართვის მინისტრის პორტფელი გზათა მშენებელმა რამაზ ნიკოლაიშვილმა „დაითრია“, ხოლო დავით ტყეშელაშვილი დააქვეითეს — ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გახდა.



დანარჩენი ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათზე არც ქაღალდის და არც მელნის დახარჯვა არ ღირს (პრინციპში არც ამათზე არ ღირდა, მაგრამ რა ვქნა, აუცილებელიაძ.

მინისტრთა კაბინეტში გამოჩენილმა „ახალმა სახემ“ ქალბატონმა ვერა ქობალიამ, რომელმაც ზურაბ პოლოლიკაშვილის ადგილი დაიკავა, ბათუმში პრეზიდენტისა და უმრავლესობის შეხვედრაზე ფრანგული აქცენტით წაკითხული ლექციით დაგვამახსოვრა თავი, ხოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მისმა „ახლო ნაცნობობამ“ (რასაც ქალბატონმა ვერამ ამ ლექციის დროს გაუსვა ხაზიძ, პირდაპირ გვიჩვენა, რომ „ნჯო“-მშვენიერი მუშაობა მთავრდებოდა და არასამთავრობო სექტორიდან სამთავრობო სექტორში აპირებდა გადასვლას. არაფერი რადიკალური და „გულისშემძვრელი“ არ მომხდარა.

წერილის ბოლოს კი ვიტყვი, რომ „რა ალია და რა ოსმანია“, „რა პოლოლიკაშვილი და რა ქობალია“. ყველა ეგენი ხომ იმ „გრანდიოზული“ ცვლილებების შემოქმედი ჯარისკაცები არიან, რომლებიც მხოლოდ ლეიტენანტის ბრძანებებს ასრულებენ. დიახ, ლეიტენანტის, რადგანაც გენერალები საქართველოდან საკმაოდ შორს სხედან.

**გია გაბრიჭიძე**

## საგარეო საქმეთა მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს. საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი პოლიტოლოგი და კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თორნიკე გორდაძე საგარეო უწყებაში ევროპულ მიმართულებას უხელმძღვანელებს.**

**საგარეო საქმეთა მინისტრის ახალი მოადგილე გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიხეილ სააკაშვილმა წარადგინა.**

— თორნიკე გორდაძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საფრანგეთში, არის ძალიან ცნობილი პოლიტოლოგი პარიზში და მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი ფრანგულ მხარეს აძლევს კონსულტაციებს და მნიშვნელოვანია, რომ იგი უხელმძღვანელებს საგარეო საქმეთა სამინისტროში ევროპულ მიმართულებას, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი მიმართულება საგარეო პოლიტიკისა. მის მანდატში იქნება ბრიუსელთან, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მუშაობა, უწყებათაშორისი კოორდინაცია, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს ლადო ვარძელაშვილი უხელმძღვანელებს

**კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდობისა და სპორტის დეპარტამენტი გამოეყოფა, რომელიც ცალკე სამინისტროდ ჩამოყალიბდება, აღნიშნული ცვლილების შესახებ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.**

მისივე თქმით, ამ უწყებას შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის უკვე ყოფილი რწმუნებული ლადო ვარძელაშვილი უხელმძღვანელებს.

ვინ დაიკავებს შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტს, ჯერჯერობით, უცნობია.

## ვერა ქობალიაც მინისტრია, გვეშველა!

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდ გარდაიქმნება. ახალ უწყებას ვერა ქობალია უხელმძღვანელებს. ახალი მინისტრი მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარადგინა.**

მიხეილ სააკაშვილმა ეკონომიკური განვითარების ყოფილ მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა.

— ვერა ქობალიამ ბოლო რამდენიმე თვეში გააცნო თავი ჩვენს ჟურნალისტებს და არასამთავრობო სექტორს, ძალიან საინტერესოდ იმუშავა. თავად ვიყავი მოწმე რამდენიმე ღონისძიებისა, რაც გაკეთდა იმ თემის პოპულარიზაციისთვის, რაც არის ის ტრაგედია, რომელიც მოხდა საქართველოში. მისი და მისთანების დიდი ქმედების შედეგია ის განცხადება, რომელიც გაკეთდა გუშინ ვაშინგტონში და მთელი რიგი მნიშვნელოვანი გარღვევები უკეთესობისკენ, რომელიც გვაქვს ევროპარლამენტში. ეს იყო ძალიან წარმატებული ბიზნესმენი კანადაში, ვიდრე დაბრუნდებოდა საქართველოში, — განაცხადა პრეზიდენტმა.

**აი, საიმედო კადრი!, ახლა მაინც ეშველება ეკონომიკის სამინისტროს!**

* * *

**რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი რამაზ ნიკოლაიშვილმა დაიკავა**

აღნიშნული ცვლილების შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.

დავით ტყეშელაშვილი კი პრეზიდენტის ადმინისტრაციას უხელმძღვანელებს. მის მოადგილედ კი ჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი გაქაჩეს!

## სურსათის უვნებლობის სამსახურსაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**სურსათის უვნებლობის სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. დავით კობერიძე სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა გუშინ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ახალ უფროსად ოფიციალურად წარადგინა.**

აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე დავით კობერიძე მთავრობის კანცელარიასა და ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა.

სამსახურის ყოფილი უფროსი მაია მეტრეველი სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის მრჩევლად, საგარეო ურთიერთობის კუთხით გააგრძელებს მუშაობას.

**ჯი-ეიჩ-ენი**

„სახალხო სასამართლო“

# აფრასიძეების საქმის მოსმენა გაურკვეველი ვადით გადაიდო

**საზოგადოებრივი საბჭოს პროექტმა „სახალხო სასამართლომ“ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოიპოვა. იმის მიუხედავად, რომ პროცესების პირდაპირ ეთერში გაშუქებაზე ყველა ტელევიზიამ უარი თქვა, სასამართლომ მუშაობა მაინც დაიწყო და პირველ საქმეზე (ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა) ვერდიქტიც რამდენიმე დღის წინათ გამოიტანა. თუ ვაზაგაშვილის საქმეზე გამართული პროცესების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ „სახალხო სასამართლომ“ გაამართლა, ამიტომ მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ფინანსების არქონის გამო „სახალხო სასამართლო“ დროებით სექტემბრამდე აჩერებდა მუშაობას.**

ამ დროისთვის „სახალხო სასამართლოში“ განსახილველად აფრასიძეების გახმაურებული საქმე დევს, რომელიც 1 ივნისს შევიდა სასამართლოში ადვოკატების მომზადებული სარჩელის საფუძველზე. 2004 წლის 24 მარტს, მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები დაიღუპნენ, ხოლო გოჩა და შმაგი აფრასიძეები დააპატიმრეს. ამ ამბავმა თავის დროზეც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ახლაც ყველა დიდი ინტერესით ელოდა, რომ „სახალხო სასამართლო“ აფრასიძეების საქმეს განიხილავდა.



გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, გუშინ „სახალხო სასამართლომ“ მუშაობა განაახლა, ყოველ შემთხვევაში აფრასიძეების საქმეზე პირველი მოსმენა სწორედ გუშინ იყო დანიშნული. სხდომა 12 საათზე დაიწყო. ბრალდების მხარეს, რომელიც მოსარჩელის დოდო სინდიანი-აფრასიძის ინტერესებს იცავდა, ადვოკატები გელა ნიკოლაიშვილი და მალხაზ ჯანგირაშვილი, ხოლო მოპასუხის (ამ შემთხვევაში სახელმწიფოსძ, ასევე ორი ადვოკატი — ვახტანგ ნაყოფია და ელგუჯა ახალაია წარმოადგენდნენ. პროცესს „სახალხო მოსამართლე“ მინდია უგრეხელიძე უძღვებოდა, ვერდიქტს კი ექვსკაციანი ნაფიც მსაჯულთა კოლეგია გამოიტანს. სასამართლოში საქმე 6, მათ შორის სიცოცხლის ხელყოფის, წამების აკრძალვისა და დისკრიმინაციის მუხლითაა შესული.

ერთი შეხედვით „სახალხო სასამართლო“ მზად იყო აფრასიძეების საქმის მოსასმენად, თუმცა ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლესთან დაცვის მხარის ადვოკატების უფლებამოსილების (ამ პროცესზეძ არსებობასთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ „სახალხო სასამართლომ“ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის განხილვამდე, 28 აპრილს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებს გაუგზავნა ოფიციალური წერილი, რომლითაც თხოვდა მათ პროცესზე თავისი ინტერესების დასაცავად ადვოკატი გაეგზავნათ, თუმცა „სახალხო სასამართლოში“ ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი პირიდან პასუხი არ მოსვლიათ. შესაბამისად კონკურსის გზით შეირჩა ადვოკატი, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილის პროცესზე სახელმწიფოს პოზიციას დაიცავდა.

აფრასიძეების საქმის წინ კი მსგავსი წერილი სახელმწიფოს რომელიმე ოფიციალური უწყებისადმი არ გაგზავნილა, რაც გახდა ბრალდების მხარის შუამდგომლობის მიზეზი.

მოსამართლე მინდია უგრეხელიძემ მოსმენილი არგუმენტების საფუძველზე პროცესის დროებით შეჩერების და გადადების გადაწყვეტილება მიიღო, რაც ასე დაასაბუთა: ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სასარგებლოდ. ასე რომ, „სახალხო სასამართლომ“ აფრასიძეების საქმის განხილვა დროებით შეწყვიტა. მცირე საბჭო, „სახალხო სასამართლოს“ სათათბირო გადაწყვეტს შეუჩეროს თუ არა ადვოკატებს ელგუჯა ახალაიას და ვახტანგ ნაყოფიას ამ საქმის წარმოების უფლება. ზუსტად როდის განახლდება პროცესი, სხდომაზე არ დაუკონკრეტებიათ.

მოარული ხმები, დიდი ხანია, ამტკიცებენ, რომ „სახალხო სასამართლო“ სულ მცირე, სექტემბრამდე არ გაგრძელდებოდა, და ამის უამრავ მიზეზს ასახელებდნენ, აფრასიძეების საქმის რეზონანსულობის გამო სასამართლოზე ზეწოლას არ გამორიცხავდნენ. თუმცა საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე შიო არსენაშვილი ირწმუნება, რომ სასამართლოს მუშაობა მხოლოდ ფინანსური პრობლემების გამო შეფერხდება. იმედია, რომ ეს პრობლემები უკვე მოგვარდა, საზოგადოება ამ ნალოდინარ პროცესს იხილავს და სასამართლოზე მომხდარი ფაქტი და სხდომის გადადება რეალური სურათის დამალვას არ ემსახურებოდა.

**ანა წიწილაშვილი**

**„არა ცილ სწამო“**

*ამა წლის 23 ივნისს გაზეთ „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი. იგი ეხებოდა საქართველოს კულტურის ფონდის ადგილ-მდებარეობას, რომელიც გახლავთ რუსთაველის 48; ეს შენობა ოდესღაც, მეფის რუსეთის დროს, იყო რუსული ეკლესია და ეს ყოფილი ეკლესია თითქოსდა შესყიდულია კულტურის ფონდის დამფუძნებლების მიერ, რომლებიც ამ ყოფილი ეკლესიის გაქირავებით ძალზე დიდ ფულს შოულობენ. ეს ბრალდება ამ სტატიის ავტორისა, ნებით თუ უნებლიეთ, დიდ შეურაცხყოფას აყენებს კულტურის ფონდის დამფუძნებლებს, ჩვენს სასიქადულო, საპატივცემულო და საამაყო პიროვნებებს, რომელთა სახელებს ქვემოთ მოგახსენებთ. ჩემში ამ გაუგონარმა ღვარძლმა, ქილიკმა და უკადრებლის კადრებამ გამოიწვია გაოცება, უფრო მეტად კი გამაკვირვა ამ გაზეთის რედაქტორის — ბატონ ვახტანგ ხარჩილავას ამ საქმისადმი დამოკიდებულებამ. ის ცნობილი ქართველი პოეტია, რომელსაც ქვეყნის, სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს, მისთვის ხომ კარგადაა ცნობილი იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც ასე მძაფრად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ლანძღავენ. რატომ გამოეპარა ან რატომ დაუშვა შეუსწავლელი შინაარსის წერილი, სადაც ერის საამაყო და საყვარელ პიროვნებებს ცილს სწამებენ, შეურაცხყოფენ.*

# დღეს საქართველოში წესად იქცა ღირსეულ ადამიანთა ლანძღვა-გინება!..

## „საერთო გაზეთის“ ერთი გამოხდომის გამო

თუმცა დღეს საქართველოში წესად იქცა ღირსეულ ადამიანთა ლანძღვა, გინება. მათი სახელების გაუფერულება, რის გამოც ღირსების დაცვა და თავის მართლება უხდებათ ჭეშმარიტ მოქალაქეებს. ეს ძველი ხრიკები რატომღაც დღეს ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. მის დამკვიდრებას კი ჩვენში ხელს უწყობს ზოგიერთი ჟურნალისტის საკუთარი პროფესიის მიმართ არაწრფელი დამოკიდებულება. ჟურნალისტებზე არასდროს არ მითქვამს აუგი სიტყვა. მათ ქართველ ხალხს დაუმტკიცეს 9 აპრილის ტრაგედიის დროს ხალხისადმი დიდი სიყვარული, ასევე მოიქცნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ომის უბედურების დროს. ბევრი მათგანი სამშობლოს შეეწირა კიდეც, რისი დავიწყებაც არ შეიძლება. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვამბობ: ასეთი ჟურნალისტები სიყვარულს იმსახურებენ, ხოლო ისინი, ვინც ჭეშმარიტ ჟურნალისტებს ამოფარებულნი, უღირს ადამიანთა დაკვეთით მუშაობენ და სხვისი ღირსების ხელყოფა წესად გაიხადეს, რისხვას იმსახურებენ, ისინი ქვეყნის განვითარებას ხელს უშლიან; მათ არასდროს უფიქრიათ, რომ სიუხეშის, სიცრუის, უპასუხისმგებლობის დრო უნდა დამთავრდეს.

არ შეიძლება, რომ საუკუნეების წინ, მე-18 საუკუნეში, როცა აღწერს პოეტი და წუხილით ამბობს: „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა“-ო, დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, იმავეს ვიმეორებდეთ! ასე დაუფიქრებლად, ასე ურცხვად, საქმეში ჩაუხედავად რატომ სვამთ კითხვებს, ქალბატონო ირინე გოგოსაშვილო? თქვენი სტატია იწყება ასე: ...იცის თუ არა მერაბ ბერძენიშვილმა, მარიკა ლორთქიფანიძემ, როინ მეტრეველმა, ოთარ ჯაფარიძემ და ია ანთაძემ, რომ თბილისში, რუსთაველის 48-ში მდებარე შენობა, რომლის მესაკუთრეები ეს ადამიანები არიან, მართლმადიდებლური ეკლესიაა? ვუპასუხებთ, ვიცით, ვიცით! ამიტომაც არ არიან ისინი მესაკუთრენი, პატრონები, როგორც თქვენ ბრძანეთ, და არც საპრივატიზაციოდ გამოტანილი ლოტის შეძენაში მიუღიათ მონაწილეობა. **თქვენ საზოგადოებას ურცხვად სთავაზობთ ტყუილს. სინამდვილეში კი მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს კულტურის ფონდს, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო თენგიზ ბუაჩიძე, სარგებლობაში გადაეცა რუსთაველის გამზირზე 48-ში მდებარე შენობა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 1996 წლის 14 მაისის № 08.32.326 დადგენილებისა და არსებული საქართველოს კანონის საფუძველზე აღნიშნული შენობა მიწის ნაკვეთითურთ საკუთრებაში გადაეცა საქართველოს კულტურის ფონდს (და არა ფონდის დამფუძნებლებს, როგორც თქვენ ამბობთ).** რაც შეეხება თქვენ მიერ გამოთქმულ აზრს, რუსთაველის გამზირზე კომერციულ ფართს ცეცხლის ფასი ადევსო და ყოფილი ეკლესიის მეშვეობით დიდი ფული შესდითო და სვამთ კითხვას, ღირს თუ არა ასეთი ფულის შეტანა ოჯახშიო, — ეს აღმაშფოთებელი კითხვაა, რომელზეც შეკითხვითვე გიპასუხებთ: ღირს ასეთი პროვოკაციული სტატიით მიღებული ჰონორარების შეტანა ოჯახში?!


იციან თუ არა მერაბ ბერძენიშვილმა, მარიკა ლორთქიფანიძემ, როინ მეტრეველმა, ოთარ ჯაფარიძემ და ია ანთაძემ, რომ თბილისში, რუსთაველის 48-ში მდებარე შენობა, რომლის მესაკუთრეები ეს ადამიანები არიან, მართლმადიდებლური ეკლესიაა?

(ფონდის საიჯარო ქირით მიღებული თვიური შემოსავალია 7857 ლარი, გასავალი კი 7619, აქედან 2726 — გადასახადი ბიუჯეტში, სამეურნეო ხარჯების, კომუნალური გადასახადების და ხელფასის გასტუმრების შემდეგ რჩება 238 ლარი, ქალბატონო ირინე, ეგებ გვასწავლოთ, სადაა ოჯახში წასაღები დიდი ფული?!)

ბატონო რედაქტორო, ბატონო ვახტანგ, ამდენი უზუსტობა და ცილისწამება თქვენი გაზეთის რედაქციისაგან უარყოფას მოითხოვს. მე მინდა მჯეროდეს, რომ ამას თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვიხილავ.

ქალბატონო ირინე, თქვენი სტატიის დასაწყისში თქვენ თავად ამბობთ, რა ბოროტებას სჩადიოდნენ ბოლშევიკები, მაგრამ გამოგრჩათ, რომ დღევანდელი პარლამენტის ადგილას იდგა მეფის რუსეთის დროინდელი ვეებერთელა „სობორო“. იქ გმირთა, იუნკერთა საფლავებიც იყო. რა ვქნათ? პარლამენტარები შეურაცხვყოთ, რომ იმ ადგილას უწევთ მოღვაწეობა? შენობა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, ადრე ჭადრაკის სასახლე იყო, რომელსაც არც მაშინ და არც ახლა ეკლესიის სახე არ ჰქონია. თქვენ არ გახსენდებათ ვეებერთელა „სობორო,“ არ გახსენდებათ მრავალი აფეთქებული ძეგლი, თუმცა იხსენებთ წმინდა თეოდოსის ხატს და ამავდროულად თქვენი სტატია სავსეა თქვენ მიერ შეთხზული ტყუილებით.

ქალბატონო ირინე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავზე მოძალადე გადგათ და ისე წერდით ამ სამარცხვინო სტატიას. თქვენ წერილებს, ალბათ, კიდეც გიძებნ „სიმართლის“ გამო, მაგრამ ახლა ჩემი სიმართლეც წაიკითხეთ, ეს ჭეშმარიტებაა! აკადემიკოსი ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეკლესიის ყველაზე მაღალი ხარისხის წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა და მას საქართველოს დედა უწოდა მისი უდიდესი ღვაწლისათვის. აკადამიკოსი, ბატონი ოთარ ჯაფარიძე, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ქართულ კულტურას მიწის შრეებში ეძებს, მრავალი შრომისა და წიგნის ავტორია, მრავალი თაობის აღმზრდელი უსაყვარლესი პიროვნება მთელ საქართველოში, დიდი პატრიოტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, აკადამიკოსი, ბატონი როინ მეტრეველი, ისტორიის მრავალტომეულის ავტორია, რომელიც თავის ნაშრომებში არაერთგზის ეხება ქართული ეკლესიის არსსა და მნიშვნელობას, ქართული ენციკლოპედიის გამოშვებაში დიდი წვლილის შემტანი, წლების მანძილზე უნივერსიტეტის რექტორი, მრავალი თაობის აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე. რაც შეეხება ქალბატონ ია ანთაძეს, თქვენი სტატიის მეშვეობით გავიგეთ მისი სახელი და გვარი. ვიცოდით, რომ ჩვენს ზემო სართულზე ბინა კერძო პირს ეკუთვნოდა. მას ჩვენთან არანაირი შეხება არა აქვს. რაც შეეხება მერაბ ბერძენიშვილს, იგი შეჩვეულია უსაფუძვლო ლანძღვას, იგი ფონდის თავმჯდომარეა და არის უბრალოდ მოქანდაკე, რომელმაც ცოტა თქვენზე უკეთ იცის ქართული ეკლესიის ისტორია, რომლის მნიშვნელობასაც ასე უსირცხვოდ გვასწავლით ჩვენ.

საქართველოს კულტურის ფონდის მოღვაწეობა ქრისტიანულია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბატონი თენგიზ ბუაჩიძე და ბატონი დავით ციციშვილი (საზოგადოება „თბილისელის“ თავმჯდომარეძ მოღვაწეობდნენ საქართველოს კულტურის ფონდში, გმირ იუნკრებს აუგეს მემორიალი კოჯრის მისადგომებთან, სადაც ისინი სამშობლოს თავისუფლებისათვის დაეცნენ. მინდა იცოდეთ ისიც, რომ გერმანელ ტყვეთა სასაფლაო კულტურის ფონდმა გააკეთა, რის გამოც გერმანელი ხალხის სახელით გერმანიის ელჩმა საქართველოს ხალხს ოფიციალური მადლობა გადაუხადა. უზომოა საქართველოს კულტურის ფონდის საქველმოქმედო მოღვაწეობა. ყველაფრის ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს. დაინტერესებულთ შეუძლიათ, ფონდის მოღვაწეობას ფონდშივე გაეცნონ. ამავდროულად გაეცნონ, თუ რას და რამდენად ვაქირავებთ.

მინდა, ჩემი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოვხატო ქალბატონი ირინეს სტატიის გამო: **თქვენ მოძალადის კარნახით წერთ ყოველივეს. არ ვიცი, რამდენად სწორია ჩემი ეჭვი, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, როცა მარტო დარჩებით, აუცილებლად შეგაწუხებთ თქვენი ნამოქმედარი. შემთხვევით არ შეიტანა ეჭვი თქვენივე გაზეთში თქვენ მიერ გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობაში ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა.**

**ქალბატონო ირინე, თქვენ, თქვენი ქმედებით უარყავით ჟურნალისტური ეთიკა. „ვინც უარს ამბობს იყოს ის, რაც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს აუცილებლად დაკარგავს საკუთარი ღირსების გრძნობას და თავიდან ვერ აიცილებს მორალურ დაცემას, მიუხედავად ამისა მისი ჭეშმარიტი „მე“ მაინც არ კვდება, არამედ ერთგვარ უჩინარ მბრალმდებლად, აჩრდილად თუ ლანდად იქცევა, რომელიც გამუდმებით შეახსენებს მისი არსებობის სიმდაბლეს“ (ხოსე ორტეგა ი. გასეტი).**

**მერაბ ბერძენიშვილი**
25/VI-2010 წ.

*P. S. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ საქართველოს კულტურის ფონდსა და ეკლესიას ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ერთსა და იმავე საქმეს ვემსახურებით — განვამტკიცოთ და ავამაღლოთ ქართველი ხალხის რწმენა, მაღალზნეობა და კულტურა. ჩვენ თქვენი მოწოდების გარეშე გვქონდა შეხვედრა და შეთანხმებაც.*

*მ. ბ.*

**ინფორმაცია**

# გორში სტალინის ძეგლი აიღეს

(პირველი გვერდიდან)

მისივე თქმით, მასალაში ასახული იყო, როგორი უკმაყოფილებით ხვდებოდა მოსახლეობის ნაწილი სტალინის ძეგლის აღებას.

ბიჭაშვილის თქმით, მათი გადამღები ჯგუფი სწორედ შეკრებილი ხალხის მხარეს იდგა, განსხვავებით სხვა ტელეკომპანიების გადამღები ჯგუფებისგან. ცენტრალური არხები, მისი ინფორმაციით, იმ მხარეს იდგნენ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნები და პოლიციელები იყვნენ შეკრებილნი. მათ გადაიღეს, თუ როგორ ხვდებოდნენ ტაშით გორში სტალინის ძეგლის აღებას.

ჟურნალისტის თქმით, პოლიციელების განრისხებაც სწორედ მათ მიერ გადაღებულმა განსხვავებულმა განწყობამ გამოიწვია. მისივე განცხადებით, გორში მზადება გუშინწინ, 23:00 საათზე დაიწყო, გადაიკეტა ქუჩები და ღამის პირველის წუთებზე ძეგლის დემონტაჟი დაიწყო.

ჟურნალისტის თქმით, აღარ არსებობს მასალა, სადაც ხალხის უკმაყოფილებაა ასახული, ვინაიდან კასეტა წაართვეს. მობილურები ჩამოართვეს იმ ადამიანებსაც, ვისაც გადაღება შეეძლოთ. მისი თქმით, არსებობს მასალა, სადაც ასახულია გუბერნატორის მოადგილე გიორგი ავალიანი როგორ უკრავს ტაშს.

ამასთან, გორში ჩასულები იყვნენ სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ



◉ ოპოზიციური ერთობის გეგმა

***ნეტავ, რამ უნდა გააერთიანოს საქართველოს ოპოზიცია, რომელიც თავის თავში კიდევ უამრავ ქვედანაყოფს მოიცავს? ფსევდოოპოზიცია, რადიკალური ოპოზიცია, მემარცხენე ოპოზიცია, კონსტრუქციული ოპოზიცია, „მინუს ნოღაიდელი“ და ა. შ. — მაინც რამდენნაირი არიან?! არჩევნების შემდეგ ყველამ თავისი გზა გამონახა ისე, რომ არც ერთი მათი მარშრუტი ხელისუფლების გზის გადაკვეთაზე არ მიდის. ამასობაში თითქმის მზადაა ახალი კონსტიტუცია ახალი ცვლილებებით, რომელიც აქედანვე ახანგრძლივებს ნაციონალების მართვის ვადას.***

# ყველას ძალიან უნდა, თავად იყოს პოლიტიკური თამადა

## ასე ცხოვრება, მართლაც, აღარ შეიძლება

ოპოზიცია რაღაც მღელვარებისთვის სერიოზულად ემზადება, მაგრამ ამ სამზადისში ყველას „შეფმზარეულობის“ პრეტენზია აქვს, ხოლო შავი სამუშაოს შესრულებისთვის არც ერთი მოწადინებული არ არის. მით უფრო, რომ დაუფასებელი საქმეა გაურეცხავი ინგრედიენტების გასუფთავება, დაჭრა თუ ხეხვა...




ალბათ, მსოფლიოს ამ წლის ცხელი ზაფხული მხოლოდ საფეხბურთო ჩემპიონატით დაამახსოვრდება, სადაც ბევრი მოულოდნელობა, სასწაული და გაუთვალისწინებელი რამ ხდება (მსოფლიო ჩემპიონი იტალია მერვედფინალშიც კი ვერ გავიდა, სამაგიეროდ ტოტალიზატორების დიდ სამყაროს კოლოსალური მოგება მოუტანაძ, მაგრამ საქართველოსთვის ეს ზაფხული ისეთივე ულიმღამო და აპოლიტიკური იქნება, როგორც შარშან, ან შარშანწინ იყო. სახელმწიფოებრივი ვნებათაღელვა ჩვენს ქვეყანაში ზაფხულის პირველი თვიდანვე ქრება, ან ლამფის შუქივით ბჟუტავს.

ასეთი პოლიტიკური გამყინვარება მიულეველი აღმოჩნდა ისეთი აქტიური ორატორი ლიდერისთვის, რომელსაც დიდი პოლიტიკური ამბიციებიც აქვს, როგორიც **თემურ შაშიაშვილია**.

„თეთრების“ საგანგებო პრესკონფერენციას ზოგადად ასეთი სათაური ჰქონდა **„ასე ცხოვრება მართლაც აღარ შეიძლება!“** და შაშიაშვილი მოქალაქეულ ბრაზს ვერც ხელისუფლების მისამართი მალავდა და ვერც ოპოზიციისა. რატომ? ის ამბობს, რომ 30 მაისის შემდეგ, როცა არჩევნები ასე პროფესიონალურად გაყალბდა, ეგონა, ოპოზიცია შეთანხმებით იმოქმედებდა, მაგრამ, თურმე ყველას ძალიან უნდა, თავად იყოს პოლიტიკური თამადა. **„არადა, ქვეყანა განსაცდელშია, ახლა მთავარია დიდი პოლიტიკური ერთობის შექმნა“.**

„თეთრების“ ძირითადი იდეა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს ემყარება. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, სქემა დაწერილია, რომელზეც ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს მიუწვდებათ ხელი. დაახლოებითი შინაარსი კი ასეთია: **ერთმანეთისადმი დამოკიდებულებისა და აზრის სხვადასხვაობის მიუხედევად, ოპოზიციის გაერთიანება აუცილებლად უნდა მოხდეს რამდენიმე საკვანძო საკითხის გარშემო: სახალხო წარმომადგენლობითი ეროვნული კრება, „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“, კონსტიტუციის მიღების ალტერნატიული პროცესის შექმნა, პრეზიდენტის იმპიჩმენტი, მუშაობა დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნაზე, ეროვნული თანხმობის ხელისუფლების ჩამოყალიბება და კანონპროექტი ოპოზიციის შესახებ.**

თუკი ამ საკითხის გარშემო კონსულტაციები დაიწყება, საქართველოს ტრაგიკულ დღეს — 8 აგვისტოს უნდა მოხდეს ბრძოლის ამ სქემისთვის პარტიის ლიდერთა ხელმოწერა, ხოლო მეორედ — არანაკლებ მნიშვნელოვან თარიღზე — 7 ნოემბერს უნდა მოიყაროს თავი საქართველოს საზოგადოების დიდმა ნაწილმა და პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ ხელმოწერები დაიწყოს.

არსებობს ალტერნატიული ვარიანტიც. უნდა შეიქმნას კონსტიტუცია, სადაც ჩაიწერება, რომ კონსტიტუცია მიიღება რეფერენდუმის გზით და ასევე მითითებული იქნება, რომ კონსტიტუციის მიღებიდან 6 თვის ვადაში დაინიშნება პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები. ეს იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ ამის მიღწევას დიდი ბრძოლა სჭირდება.

ძნელი სათქმელია ამთავითვე, როგორი დამოკიდებულება ექნებათ ოპოზიციურ პარტიებს ამ ყველაფერზე, რადგანაც, როგორც ვთქვით, ყველას საკუთარი ამბიცია აქვს, რასაც არანაკლებ განიცდის „თეთრების“ ლიდერი.

რაც შეეხება შაშიაშვილის დაპირებულ ვიზიტს აფხაზეთში და ორ მოძმე ერს შორის მოლაპარაკების პროცესის დაწყებას, ამთავითვე ხელისშემშლელი ფაქტორები შეხვდა. **„ხელისუფლება, მედია მიზანმიმართულად ცდილობენ, როგორმე შეაფერხონ და ჩაშალონ ჩემი ვიზიტი. აცხადებენ, შაშიაშვილი თურმე აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას არ დაელაპარაკებაო. არადა, მსგავსი არაფერი მითქვამს. მით უმეტეს, რომ მე და სერგეი ბაღაფში ერთ დროს მართლაც ვმეგობრობდით“,** — განაცხადა შაშიაშვილმა. ვიზიტი ივლისის დასაწყისში უნდა შემდგარიყო, რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის გოჩა ძასოხოვის შუამავლობით, მაგრამ უკვე ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა...

**„თეთრების“ ლიდერი შესაძლოა მართლაც მოხვდეს საქართველოს ძირძველ მიწაზე და ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის ძაფები გააბას, მაგრამ საეჭვოა, თავი მოუყაროს უკვე ძალიან დაქსაქსულ ქართულ ოპოზიციას, რომელსაც ახლა ისე მოექცა საქმე, რომ პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომაც კი ვერ გააერთიანებს მას... თუმცა „ღმერთმა დაგვიფაროს!“ მერე იქნება, რაც იქნება!**

**თეა მოსია**

◉ ოპოზიცია

# შეძლებს თუ არა „ფორუმი“ ეროვნული ფურორის მოხდენას?

## კახა შარტავა: შემოდგომაზე ასი ათასობით უნდა ვიყოთ



**„როცა ქართული ოპოზიციის ერთმა ნაწილმა თვითმკვლელობა ჩაიდინა, ხოლო ხელისუფლებამ ისინი სასაფლაოზე წაასვენა, სწორედ საზოგადოების გულგატეხილობის ჟამს „ეროვნული ფორუმი“ შეიკრიბა და საკმაოდ ხმაურიანადაც“ — ეს სიტყვები გუბაზ სანიკიძემ გუშინ ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში გამართულ ფორუმის ყრილობაზე წარმოთქვა და თანაც დაამატა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ასეთი ბედნიერი ჯერ არ ყოფილა, მართლაც ძალიან ჭარბად იყო ემოცია, ოვაცია და ბანალური „გაუმარჯოს“, ექვსი ათასამდე ფორუმის მხარდამჭერს კალათბურთის სასახლე არ ეყო და გარეთ მოუწია ლიდერების გამოსვლების ფონოგრამის მოსმენა.**

ოპოზიციის არჩევნებში მწარედ დამარცხების შემდეგ „ეროვნულმა ფორუმმა“ ძალის დემონსტრირება სცადა და მხარდამჭერებს მოუყარა თავი. **„ახლა ჩვენ ათასობით ვართ, მაგრამ მომავალ ყრილობაზე ასი ათასობით ვიქნებით“,** — განაცხადა ფორუმის თავმჯდომარემ კახა შარტავამ. ის სულაც არ იყო ისეთი სასოწარკვეთილი, როგორიც შარშანწინ, საპარლამენტო არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის დამარცხების შემდეგ, პირიქით, ემოციასა და სიხარულს აშკარად ვერ მალავდა.

**საითკენ წავა ფორუმის აღებული გეზი?** — დღეს ეს კითხვა უფრო საკამათოა, ვიდრე გასახარი, ვინაიდან ლიდერები ძალიან მკაცრად და გადაჭრით აცხადებენ, რომ ისინი ფორუმის ძლიერ ხელს უწვდიან ოპოზიციას, მაგრამ არც მარტო ბრძოლისა არ ეშინიათ. ამგვარ განცხადებებს საბოლოოდ რეზონანსი არც თუ შედეგიანი აქვს, მაგრამ დღეს ფორუმს ასე ურჩევნია.

**„მომხრე ვართ, ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგები გაძლიერდნენ. 3-4 თვე ყველას აძლევს საშუალებას, ძალა მოიკრიბონ, ფეხზე დადგნენ და შემდეგ ფორუმის გზითა და მსვლელობით იარონ“,** — აღნიშნა გუბაზ სანიკიძემ, რომელსაც გზის დასასრულად ორი მთავარი პრობლემის გადაწყვეტა ესახება: სააკაშვილის გაშვება და შემდეგ ქვეყნის ფეხზე დაყენება. **„ახლა გვჭირდება ძალა, რადგან ქვეყანას ორი დიდი პრობლემა აქვს: ეს ხელისუფლება და შემდგომ ეროვნული ხელისუფლების მოსვლა. ჩვენს მხარდამჭერებს საზაფხულო არდადეგებზე მთავარ საშინაო დავალებას ვაძლევთ: ფორუმის რიგები უნდა შეივსოს და გაძლიერდეს. საშემოდგომოდ რამდენიმე ასეული ათასი უნდა ვიყოთ“,** — მიმართა საზოგადოებას პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა.



შემოდგომაზე ფორუმი სერიოზული მღელვარების აგორებით იმუქრება. ეს არის რიგგარეშე პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების მოთხოვნა, ან მეტიც, არჩევნების ჩატარება ამ ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე, თუკი მანამდე შინ გაისტუმრებენ ნაციონალურ გუნდს.

კახა შარტავამ და მისმა თანამებრძოლებმა ოპოზიციონერ კოლეგებს სამოქმედო გეგმა შესთავაზეს, რომელიც ძირითადად საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას გულისხმობს და, ასევე, წარმოადგინეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მმართველობის სისტემის რეფორმის შესახებ პროგრამა.

ორივე მიმართულება საკმაოდ მოცულობითია, რომელიც ბოლოს ასე მთავრდება: **„დღევანდელ მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს განვითარების არავითარი პერსპექტივა, თუ ის მეცნიერების განვითარებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,02 პროცენტს ხარჯავს. ჩვენი პროგრამის ამოქმედების პირველივე წელს დაფინანსება უნდა განისაზღვროს ერთობლივი შიდა პროდუქტის 1 პროცენტით, ხოლო შემდგომი 3-5 წლის განმავლობაში — 3 პროცენტით“.**

სხვათა შორის ამგახსენებაზე, მნიშვნელოვანია „ქართული კოლაიდერის“ შექმნის იდეაც, რომელსაც ფუნდამენტს სწორედ ქართველი მეცნიერები და ინტელექტუალები ჩაუყრიან და ქვეყნის სტრატეგიის სერიოზული ცვლილებებისთვის მოემზადებიან. ხელისუფლების შეცვლის არსს ემსახურება სოზარ სუბარის ინიცირებული „ქართული იდეაც“. ძირეული გარდასახვისთვის ამზადებს ქვეყანას ნოღაიდელი-ოქრუაშვილი-გაჩეჩილაძე-კიწმარიშვილის ერთიანობის იდეაც... ანუ სხვადასხვა მიმართულება არჩევნებიდან ერთ თვეში უკვე გამოკვეთილია. ბრძოლის ამ მეთოდებს ახლა ფორუმის გზაც მიემატა. ამ ყველაფერს კი კვლავ დაშლისაკენ ხომ არ მივყავართ, რომელიც ბოლოს ნაციონალების გამარჯვებითა და საზოგადოების ახალი გულგატეხილობით მთავრდება?!

თანაც ოპოზიციას ვერის ბაღი არც თუ კარგად აქვს დაცდილი, უმეტეს შემთხვევაში ლიდერთა დიდ პათოსსა და აღტკინებას სევდანარევი გმინვა მოაქვს ხოლმე...

**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

## ძლიერი წვიმები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ივნისის ბოლომდე გაგრძელდება

**მეტეოროლოგები ცალკეულ რაიონებში სეტყვასა და ძლიერ ქარსაც ელიან. უამინდობა საქართველოში შავი ზღვიდან შემოსულმა ციკლონმა განაპირობა. ჭარბი ნალექის მიუხედავად მეტეოროლოგები ტემპერატურის მკვეთრ ვარდნას არ ვარაუდობენ. ძლიერი წვიმა მთელი ქვეყნის მასშტაბით თვის ბოლომდე გაგრძელდება.**

**— როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის თბილისში მომდევნო სამი-ოთხი დღის განმავლობაში ისევ ველოდებით ნალექს. აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში შესაძლებელია აღინიშნოს ელჭექი, რომლის დროსაც გაძლიერდება ცვალებადი მიმართულების ქარი. ცალკეულ რაიონებში შესაძლოა ასევე აღინიშნოს სეტყვა. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე სრულ გამოდარებას არ ველით, — აცხადებს გარემოს ეროვნული სააგენტოს პროგნოზების დეპარტამენტის უფროსი მაია უგრეხელიძე.**

ჯი-ეიჩ-ენი

**სიყვარულის ნიჟი**

***ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ებრაელები უდიდესი მადლიერებით იხსენებენ და არ ივიწყებენ, როგორც თვითონ უყვართ თქმა, გამზრდელ, დედასავით ტკბილ საქართველოს.***

***მათ შორის, ვინც ჩვენი ქვეყნის წრფელი სიყვარული ტკივილიან მონატრებად აიტანა ისრაელის წმინდა მიწაზე და იქ ქართული სიტყვის დაუღლელი მსახური გახდა, ერთ-ერთი არის ცნობილი ჟურნალისტი, ჟურნალ „აშდოდელების“ რედაქტორი სულო სეფიაშვილი (სეფი ელი).***

# საქართველოსა და ქართული სიტყვის დაუღლელი მსახური

ორ ათეულ წელზე მეტია ისრაელში, განსაკუთრებით აშდოდში, თუკი რამ ქართული სულისკვეთებით დამუხტული ღონისძიება ეწყობა, უთუოდ ბატონი სულოს სახელს უკავშირდება. გასაოცარია, მაინც როგორ ასწრებს ამდენს ეს ფუტკარივით მშრომელი კაცი: გაზეთის, ჟურნალის, წიგნების გამოცემა და რედაქტირება, მათი დიზაინი და გრაფიკა, სტილი და კორექტურა, შემოქმედებითი და საიუბილეო შეხვედრები, ხსოვნის საღამოები, საქველმოქმედო აქციები, პოეზია...

სულო სეფიაშვილი 1951 წელს დაიბადა სამეგრელოს ქალაქ სენაკში. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში უმაღლეს საინჟინრო განათლება მიიღო და ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო სოხუმში, აფხაზეთის მშენებლობის სამინისტროში ინჟინერ-ექსპერტად. ქალაქის შემოქმედ ინტელიგენციასთან დაახლოებამ, პოეტ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძესთან მეგობრობამ, უფრო ღრმად ჩაახედა ქართველ და აფხაზ პოეტთა შემოქმედებაში. აქვე შექმნა მშვენიერი ოჯახი და 1987 წელს, მეუღლესთან და შვილებთან ერთად, საცხოვრებლად ავიდა ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში.

მალე იგი ქართულენოვანი გაზეთის „ალია საქართველოდან“ ჟურნალისტი გახდა. რამდენიმე თვეში კი გადაჰყავთ ამავე გაზეთის რედაქტორად. უდიდეს წარმატებას მიაღწია მის ხელში ამ პოპულარულმა გაზეთმა. ათიათასობით ქართველი ებრაელისთვის „ალია“ გახდა ინფორმაციის წყარო და სულიერი საზრდოც. რედაქტორად მუშაობის თხუთმეტი წლის განმავლობაში ბატონმა სულომ კიდევ უფრო დახვეწა და გაამრავალფეროვნა გაზეთი.

1989 წელს, ისრაელის ქართველ ებრაელ ჟურნალისტთა დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს, სულო სეფიაშვილს რამდენიმე კოლეგასთან ერთად, ისრაელ-საქართველოს შორის მეგობრული და კულტურული კავშირების განმტკიცების საქმეში დამსახურებისთვის მთავრობის ჯილდო გადაეცა.

უამრავი პროექტი განხორციელდა მისი თაოსნობით: თბილისობა, ქუთაისობა, რაჭველთა დღესასწაული, აღთქმულ მიწაზე მოღვაწე ქართველ ებრაელთა შემოქმედებითი საღამოები...

ბატონი სულო იყო პირველი მასპინძელი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისრაელში ყოფნის დროს. თითქმის ყველა მომღერალმა, მსახიობმა, ცეკვის ანსამბლმა, მწერალმა თუ პოეტმა მისი მეგზურობით გაიცნო ისრაელი.

ბატონი სულო გახლდათ ორგანიზატორი და წამყვანი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატივსაცემად ქალაქ აშდოდში გამართული ხალხმრავალი ღონისძიებებისა.

უკვე რამდენიმე წელია, სულო სეფიაშვილმა დააარსა და რედაქტორობს ორენოვან, ყოველთვიურ ფერად ჟურნალს და გაზეთს „აშდოდელები“ და „აშდოდის მოამბე“. რამდენიმე წელია რაც დაისტამბა მისი ლექსების კრებული „სიზმრის სასახლე“, სადაც პოეტი თავის ფიქრს, დარდს და იმედს პოეტური გამომსახველობით გადმოგვცემს.

სულო სეფიაშვილს არა მარტო თავისი, სხვისი სატკივარიც სტკივა, ჯარისკაცების, მებრძოლი ბიჭების ომში დაღუპვას განიცდის, ქართველი თუ ებრაელი ცნობილი პოეტების, ხელოვანი ადამიანების უდროოდ წასვლაზე წუხს... წერს ქართველი ქალის კდემამოსილებაზე, საქართველოს, განსაკუთრებით სოხუმის, სენაკის, თბილისის მონატრებაზე, დედაზე, იერუშალაიმის სიდიადეზე და ა. შ. ზოგჯერ სასოწარკვეთა იპყრობს, მეუღლის გარდაცვალება თრგუნავს...

**„მე ვითმენ, მაგრამ დრომ**
**არ მოითმინა,**
**ნაჩქარევად ჩამიარა გვერდით,**
**ცარიელი დამიტოვა ციცქნა**
**ბინა,**
**მოტყუების მასვა ალავერდი...“**

მისი შვება მეგობრებში, საინტერესო საქმიანობაში, სიყვარულის თესვაში, შვილების და ახლობლების მოფერებასა და პოეზიაშია:

**„სიცოცხლე მოდის,**
**სიცოცხლე მიდის,**
**როგორც ინება ბედმა**
**გამჩენმა**
**და ჩვენი ხსოვნის**
**გადასარჩენად**
**სიყვარული და ლექსი**
**დარჩება...“**

სულო სეფიაშვილის ლექსებზე კომპოზიტორმა და მომღერალმა ალექსანდრე პელეგმა (ელიგულაშვილიძ, მსახიობმა და მომღერალმა ნაზი ნანიკაშვილმა, ფელიქს ბაჩაკაშვილმა და სხვებმა შესანიშნავი სიმღერები შექმნეს. ბატონი სულო ხშირი სტუმარია ისრაელის ქართულენოვან რადიოსა და ტელევიზიაში, მასზე წერენ ადგილობრივ პრესაში. ის გახლავთ აშდოდის ქართველ ებრაელთა კულტურის ცენტრის დირექტორი, ისრაელის ქართველ ებრაელობაში მოწყობილი ყველა ღონისძიების უცვლელი წამყვანი.

ხუთ წელზე მეტია, რაც სულო სეფიაშვილმა პირველმა დააარსა ორგანიზებული ტურები: ისრაელი — საქართველო, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ტურიზმის აღორძინებაში. მას კიდევ აქვს რამდენიმე საინტერესო პროექტი ამ მიმართულებით.

სულო სეფიაშვილს წლების განმავლობაში ისრაელის სცენებზე დადგმული აქვს საკმაოდ გახმაურებული სპექტაკლები: აწ გარდაცვლილი ექიმისა და მწერლის სოსო სეფიაშვილის „თეთრი ვარდები უაითპარკიდან“, ნაწყვეტი რომანიდან „გაქცევა არსაიდან“, მწერალ რაია წიწუაშვილის „სულის სარკმელები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, მუშაობს აბული სეფიაშვილის ჰეროიკული დრამის „თამარის“ სცენურ ხორცშესხმაზე, რომელიც რუსთაველისა და თამარ მეფის სიცოცხლის ბოლო წლებს ასახავს.

მრავალფეროვანია სულო სეფიაშვილის შემოქმედებითი საქმიანობა მის ორ სამშობლოში — ისრაელსა და საქართველოში. მისი ფიქრი და ოცნება ორი ერის კულტურულ დაახლოებას დასტრიალებს და იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტად ემსახუროს ქართულ სიტყვას, ქართულ საქმეს, რომ სამომავლოდ, თაობათა ცვლამ და საუკუნეთა მდინარებამ ვერ დაარღვიოს ის სიყვარული და მეგობრობა, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის სუფევს.



ლეილა ნოდია და სულო სეფიაშვილი აშდოდის ქართული კულტურის ცენტრში

**ლეილა ნოდია,**
**თელ-ავივი — თბილისი.**

**მამული ჩვენი...**

**24 ივნისს თიბისი გალერეაში „თიბისი ბანკმა“ და შემოქმედებითმა გაერთიანებამ „ოქროს ვერძმა“ უმასპინძლეს პირველ საანგარიშო გამოფენას, რომელიც ინტერნეტში გურიის რეგიონის ძეგლების განთავსებას უკავშირდება. ეს იყო საზოგადოებისთვის ახალი პროექტის — „ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები ინტერნეტში“ — გაცნობის პირველი საჯარო ცდა.**

# „ოქროს ვერძი“ იწყებს...

პროექტი ეძღვნება ამ იდეის ქომაგის, ეროვნული მოძრაობისა და ქართული პარლამენტარიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვანო ხუხუნეიშვილის ხსოვნას.

პროექტს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს პატრონაჟით ახორციელებს შემოქმედებითი გაერთიანება „ოქროს ვერძი“.

**გვესაუბრება ამ საშვილიშვილო პროექტის მენეჯერი, ცნობილი ჟურნალისტი გოჩა ხუნდაძე:**

— ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ინტერნეტიზაცია კერძო წამოწყებაა და ამიტომაც მისი განხორციელებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის დამფასებელთა პირად წვლილს. მოხარული ვართ, პროექტის მხარდამჭერთა და პარტნიორთა შორის მოვიხსენიოთ „თიბისი ბანკი“, „ჯეოსელი“, „ტოიოტა კავკასია“, სააქციო საზოგადოება „ელექტროვაგონშემკეთებელი“ და მისი მფლობელი, ბატონი ბადრი წილოსანი, შპს „ნიკორა“... დარწმუნებული ვარ, ქველმოქმედნი კიდევ გამოჩნდებიან.

უდიდესი მადლიერებით ვართ განმსჭვალულნი გურიის რეგიონის, ნინოწმინდის, თელავისა და ყვარლის რაიონების ხელმძღვანელებისადმი. მათი დახმარების გარეშე გაგვიჭირდებოდა მუშაობა.

რაც შეეხება პროექტს, ინფორმაცია ძეგლების შესახებ (ენციკლოპედიური რემარკებიძ ინტერნეტში განთავსდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ძეგლები აღრიცხულია რაიონის (ისტორიული მხარეებისძ, საუკუნეებისა და ტიპების მიხედვით. პირველ ეტაპზე ნავარაუდევია 5 000 ძეგლის ფიქსაცია და ვებ-გვერდზე განთავსება, რეგიონული პრინციპით ფოტოალბომების გამოცემა და გამოფენების მოწყობა.

კატალოგის ინტერნეტვერსია გვესახება საქართველოს სახელმწიფოს ერთგვარ სავიზიტო ბარათად ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული უცხოელებისთვის.

* * *

შემოქმედებითი გაერთიანება „ოქროს ვერძი“, როგორც ეს თიბისი გალერეაში პროექტის კურთხევაზე მოსულმა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა თქვეს, დიდ ეროვნულ საქმეს შეეჭიდა. წარმატებები ვუსურვოთ პროექტს და იმის სულისჩამდგმელთ!

**რუსუდან ქობულია**



ლიხაურის ღვთისმშობელი



ჯიხეთის დედათა მონასტერი



ზემო ერკეთის დედათა მონასტერი

№ 119. შაბათი, 26 ივნისი, 2010 წელი.

ვაი ჭკუისაგან!

# რეფორმების ბილიკებით უთავბოლოდ მოხეტიალე ქვეყანა

## კიდევ ერთხელ განათლებისა და მეცნიერების შესახებ

**ბოლო ხანებში იმ მეტასამყაროში, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ თავისთვის შექმნა და რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „რეფორმების ბილიკებით უთავბოლოდ მოხეტიალე ქვეყანა“, გარკვეული აქტივობა შეიმჩნევა განათლებისა და მეცნიერების სფეროებში. ერთი შეხედვით, ეს თითქოსდა მისასალმებელი უნდა იყოს, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, ისევ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითია, მხოლოდ ცრუ მოძრაობებია და, საბოლოო ჯამში, არ არის კარგის მომტანი.**

თუ იმის მტკიცებას დავიწყებთ, რომ ნებისმიერი (და, მაშასადამე, ჩვენი) ქვეყნისათვის განათლებისა და მეცნიერების როლი უაღრესად დიდია, სიცილს დაგვაყრიან და იტყვიან — ველოსიპედების მორიგი გამომგონებელი მოგვევლინაო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ისევ და ისევ გვიხდება ბანალური ჭეშმარიტებების შეხსენება და კიდევ ერთხელ — მათი დასაბუთება. მეცნიერების როლზე ძალიან მოკლედ და ხატოვნად თქვა გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა სტენ ულამმა, დაფაზე გაკვრით დაწერილ ერთ ახალ ფორმულას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს მთელი კაცობრიობის ბედიო. ჩვენი სახელოვანი წინაპრები გვასწავლიდნენ, რომ ქართველი ხალხის ძირითადი ღირებულებებია: სამშობლო, ენა, სარწმუნოება, განათლება, მეცნიერება, ზოგადი კულტურა და ტრადიციები. ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისას გამოველაპარაკეთ იაპონელ მეცნიერს, რომელიც ხმაურიანი ბანკეტის დროს ჩვენს გვერდით იჯდა და ირონიულად უყურებდა, თუ ცეკვისას როგორ როკავდნენ და ლამის ყირამალა გადადიოდნენ კონფერენციის ევროპელი და ამერიკელი მონაწილეები. მან მრავალმნიშვნელოვნად თქვა: „იაპონია ტრადიციების ქვეყანაა“. და ამ მოკლე ფრაზისთვის სხვა არაფერი დაუმატებია.

ყოველი ერი ცოცხალი ორგანიზმია. აქედან გამომდინარე, უხეშად რომ ვთქვათ, თითოეულ ერს აქვს ინსტინქტები (თვითგადარჩენის, სიცოცხლისკენ სწრაფვის, თავისი ტერიტორიის შენარჩუნების, ტრადიციების შენახვისა და ა. შ.). რა არის ჩვენი ერის არსებობის ფილოსოფია? სწრაფვა სიყვარულისკენ, მშვენიერებისა და ჭეშმარიტებისკენ. და ამ მისწრაფებამ საუკუნეთა განმავლობაში ქვეცნობიერი და მდგრადი ხასიათი მიიღო, დავიდა ერის გენეტიკურ დონემდე და, კარგი გაგებით, ძირითადი ინსტინქტის როლს ასრულებს. **ის კი, რაც ახლა ხდება, ჩვენი ერის ინტელექტუალურ ინსტინქტს აშკარად აქვეითებს და აკნინებს, ვკარგავთ და ვფანტავთ იმას, რასაც ჩვეულებრივ „ბრეინპაუერს“ უწოდებენ ხოლმე.**

ძირეულ, ფუნდამენტურ ღირებულებებზე უარის თქმა, მათი უგულებელყოფა და, იმავდროულად, ხმაურიანი აგიტაციისა და პროპაგანდის თანხლებით საეჭვო იდეებისა და პროექტების „შემოცურება“ ჩვენს ერს კარგს არაფერს მოუტანს. **საღი გონების მოშველიება და ჯანსაღი სკეპტიციზმი ამა თუ იმ მოვლენასთან შეხებისას — აი, ყველაზე სწორი პოზიცია ამჟამად, როცა ხდება ღირებულებების გადაფასება და ყოველივე ძველის კატეგორიული, უაპელაციო უარყოფა.** სასაცილო იქნება, მაგალითად, რომ კახელებს ღვინო ან სიმღერა დავუწუნოთ მხოლოდ იმ საბაბით, რომ ორივე ეს ფენომენი საუკუნეების სიღრმიდან მოდის და, მაშასადამე, მეტისმეტად მოძველებულია (ანუ ამჟამინდელობას არ შეესაბამება), ხოლო უცხოური კოქტეილები და მძიმე როკი მარტო იმიტომ ვაქოთ და ვადიდოთ, რომ შედარებით ახალი ხილია ჩვენთვის. საზოგადოდ, ნებისმიერი ხელოვნურად შემოგდებული იდეისა თუ პროექტის უპირობო მიღება და ბრმა მიმბაძველობა ყველაზე საშიში სენია. კომიკურად და საცოდავად გამოიყურებიან ჩვენი ფუნქციონერები, რომლებიც ყოველივე უცხოურის დანახვაზე ექსტაზში შედიან, პირდაღებულნი მისჩერებიან თავიანთ პატრონებს და უყოყმანოდ ცდილობენ იმ უცხოურის ჩვენში მექანიკურად შემოტანასა და დანერგვას. რამდენიმე თვის წინათ ცნობილმა და კუნთმაგარმა ა. შვარცენეგერმა საყოველთაო კრიზისის საბაბით მიმართა თავისი შტატის სკოლების მოსწავლეებს და მოუწოდა მათ, უარი თქვან სახელმძღვანელოებზე, ხოლო საგნები მხოლოდ კომპიუტერის დახმარებით ისწავლონ. ეს იდეა, ალბათ, ძალიან მოეწონათ ჩვენს ხელისუფალთ და ამიტომ ბოლო ხანებში სულ გვესმის ლაპარაკი კომპიუტერის უაღრესად მნიშვნელოვან როლზე სასწავლო პროცესში (თურმე აქამდე ეს არ ვიცოდით). **არ არის გამორიცხული, რომ შვარცენეგერის აღნიშნული მოწოდება ჩვენშიც გაიმეორონ და გვიბიძგონ, წიგნზე საერთოდ უარი ვთქვათ.**

როგორც ჩანს, ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს წიგნი ან არ უყვარს, ან წიგნს სხვა დანიშნულებით იყენებს ხოლმე (მაგალითად, პარლამენტში დებატების დროს ოპონენტის თავში ჩასარტყმელად). ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას ნაცმოძრაობის ლიდერმა განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების წარმართვაზე სამინისტროს მოხელეებთან ერთად და მათ გვერდით ისიც იმუშავებს. **სამწუხაროდ, ჭეშმარიტი რეფორმების ჩატარებას მისი და მის მიერ რეკომენდებული მინისტრების დონე ნამდვილად არ ეყოფა. შედეგად ჩვენი საზოგადოება მხოლოდ მორიგი ფარსისა თუ ბალაგანის მოწმე გახდება.** აქვე გვინდა ერთი პარალელი გავავლოთ. ოკუპანტი რუსეთის სამეცნიერო საზოგადოება ამჟამად ერთგვარად შოკირებულია: თურმე ორ ცნობილ სექს-სიმბოლოს — ქსენია სობჩაკსა და თინა კანდელაკს — მობეზრდათ „ინტიმურ“ სფეროში მოღვაწეობა და ერთმნიშვნელოვნად გადაწყვიტეს სამეცნიერო წრეებთან დაკავშირება-დაახლოება, წარმოადგინეს რაღაც პროექტები, რომელთა მეშვეობითაც უნდა გამოავლინონ განსაკუთრებულად ნიჭიერი, მეცნიერულ კვლევებზე ორიენტირებული ახალგაზრდები და ამ უკანასკნელთ ხელი შეუწყონ (საინტერესოა, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს ეს ორი შესანიშნავი ქალბატონი). აქვე უპრიანია გავიხსენოთ ოკუპანტ რუსეთში ატეხილი მორიგი სკანდალი, ე. წ. „პეტრიკგეიტთან“ დაკავშირებით, რომელიც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მეცნიერების სფეროში გარეშე პირების (პოლიტიკოსების, მაღალჩინოსნების, სანტექნიკოსების, პროკურორების, ციხის უფროსების, შოუმენებისა და ა. შ.) ჩარევა მხოლოდ აფიორაა და სხვა არაფერი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ქვეყანას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ხშირად ვგებულობთ, რომ მოხელე-რეფორმატორები სკოლებს სტუმრობენ, ბავშვებს უცინიან და თავზე ხელს უსვამენ, კომპიუტერებისა და უცხო ენების ცოდნის აუცილებლობაზე საუბრობენ და ა. შ. ვითომდა უფრო სერიოზულ დონეზე ტარდება უამრავი დისკუსია და დებატი, რომლებზედაც ვითომ ექსპერტების „ახალი და ღრმად გააზრებული“ კონცეფციები და მიდგომები შუქდება უბრალო მოკვდავთათვის. მაგრამ შოუებისა და პიარკამპანიების მეთოდი აბსოლუტურად გამოუსადეგარია ამ ტიპის ძალზე სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმეში. **აქ ნამდვილი პროგრესი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა მიმდინარე პროცესში მცოდნე და დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები ჩაერთვებიან, შემთხვევითი პიროვნებები კი ამ სფეროს სამუდამოდ ჩამოსცილდებიან.**



რამდენიმე თვის წინათ მორიგი (მერამდენე?) ახალი მინისტრი დაინიშნა განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ნიშანდობლივია, რომ უწინდელი მინისტრი სასწავლებლად გაიგზავნა საზღვარგარეთ, სადაც იგი ტრეინინგებს გაივლის, გულმოდგინედ იმეცადინებს, ცოდნას გაიღრმავებს და „დაბრძენებული“ დაგვიბრუნდება. ახალი მინისტრი კი ენერგიულად შეუდგა ყოველდღიურ მუშაობასა და რეფორმირების პროცესს წარმატებულად აგრძელებს (?!). მეტად საინტერესო ფენომენის მოწმენი ვართ. გავიხსენოთ, რომ **თავის დროზე ნაპოლეონმა გამოიძახა დიდი მეცნიერი პიერ ლაპლასი და დაიყოლია იგი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე (ყველამ იცის, თუ როგორ სცემდა პატივს ნაპოლეონი მეცნიერებს და, საერთოდ, ჭკვიან ხალხს). მაგრამ ამ ღონისძიებისაგან არაფერი სასიკეთო არ გამოვიდა. მართლაც, სულ მოკლე ხანში გამოირკვა, რომ ლაპლასი დაკისრებულ მოვალეობას თავს აბსოლუტურად ვერ ართმევდა.** ამის გამო იგი განთავისუფლდა მინისტრის პოსტიდან და მეცნიერებას დაუბრუნდა. ამრიგად, გენიოსი ნაპოლეონის საინტერესო ექსპერიმენტი მარცხით დასრულდა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან **არაფრით არ შეიძლება მეტრები და კილოგრამები ერთმანეთში აურიო.**

ამ ბოლო ხანებში საქართველოს ხელისუფლება ექსპერიმენტს საპირისპირო მიმართულებით ატარებს — განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს ირჩევს იმ კონტინგენტიდან, რომელიც უფრო ძალოვან სტრუქტურებთან ასოცირდება. ძნელია ელოდო ან ამტკიცო, რომ ექსპერიმენტი ამ მიმართულებით პოზიტიურ შედეგს მოიტანს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ლაპარაკობენ უკვე მიღწეულ წარმატებებზე და გვიმტკიცებენ ასეთი მიდგომის სისწორეს. აქ ამაზე დავას არ დავიწყებთ. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი დრო. უპრიანი იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის პრობლემები და საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში დაგროვდა:

**1.** „რეფორმების“ დასაწყისშივე ფუნქციონერებმა შეუბრალებელი ომი გამოუცხადეს იმ „მოძველებულ კონცეფციებსა და მიდგომებს“, რომლებიც უყოყმანოდ საბჭოურ წყობას დაუკავშირეს. აქედან გამომდინარე, ღვაწლმოსილ და დამსახურებულ მეცნიერებს დევნა დაუწყეს, ხოლო ახალბედა, გამოუცდელი კადრები გაუმართლებლად სწრაფად დააწინაურეს (მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივაციით). **ჩატარებული „რეფორმების“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საუკუნოვანი ტანდემის — მასწავლებელი-მოწაფე (ანუ ოსტატი-შეგირდი) — ტრადიციული გაგების უარყოფა. თურმე შეგირდი (სტუდენტი) ოსტატზე (პროფესორზე) უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, თურმე შეგირდს შეუძლია თითი დაუქნიოს ოსტატს, მოითხოვოს მისი გაგდება და ა. შ.** ასეთი ტიპის უამრავ ნონსენსს, რომლებიც მეტწილად უკულტურობითა და გაუნათლებლობითაა გამოწვეული, უხვად შეხვდებით თანამედროვე ინოვაციებში, სასწავლო პროცესის „გაუმჯობესების“ წარმოდგენილ უთავბოლო პროექტებში, ლიბერალიზმის ფოთლით დაფარულ ფსევდო-თეორიებში, ხმაურიან ლოზუნგებსა და რევოლუციონისტურ კონცეფციებში. მაგრამ რამდენიც არ უნდა იხმაურონ ჩვენმა „რეფორმატორებმა“, ეს ტანდემი (ოსტატი-შეგირდი) შეინარჩუნებს თავის ბუნებრივ ფორმას, აზრსა და მნიშვნელობას.

**2.** ალბათ, სადავო არ არის ის გარემოება, რომ სკოლებში სასწავლო პროცესი უკიდურესად დაკნინდა, ხოლო ბოლო კლასებში ფაქტობრივად არ მიმდინარეობს სწავლება და ახალი ცოდნის შეძენა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უმაღლესი სასწავლებლის პირველ ორ კურსზეც მეტწილად გაცნობითი ხასიათის ლექციებია, გამოდის, რომ ოთხ წელს ახალგაზრდა ტყუილად კარგავს. და ეს იმ დროს, როცა ცხოვრების ტემპი უაღრესად მაღალია და, აქედან გამომდინარე, ძალზე სასურველია, რომ ახალგაზრდამ დროულად მოიპოვოს თავისი ადგილი საზოგადოებაში, შეუდგეს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას. **ამრიგად, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოსთვის 12-კლასიანი საშუალო სკოლა.** ჩვენი აზრით, ადრე არსებული 10-კლასიანი საშუალო განათლების სისტემა (შესაბამისი ინტენსიური სასწავლო პროცესით) უფრო ეფექტური და ოპტიმალური იყო (ეს ბოლო ტერმინი ამჟამად ძალზე მოდურია, მაგრამ მის შინაარსში ხშირად მზაკვრულ აზრებს მალავენ და ოპტიმიზაცია ლიკვიდაციამდე დაჰყავთ ხოლმე).

**3.** ბევრს ლაპარაკობენ რეფორმათა წარმატებულობაზე და, ამავე დროს, ახალგაზრდებს დაჟინებით უბიძგებენ იმისაკენ, რომ საზღვარგარეთ მიიღონ განათლება, განსაკუთრებით კი — უმაღლესი. სად არის ლოგიკა? **თუ ჩვენთან ამ სფეროში ყველაფერი წესრიგშია ან აღმავალი გზით მიდის, რატომ მივერეკებით ახალგაზრდებს საზღვარგარეთ?** ჯერ ერთი, საეჭვოა, რომ წასული ახალგაზრდა უკან დაბრუნდეს. მეორე მხრივ, თუკი სწორედ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა დატოვებს საქართველოს და სხვაგან დამკვიდრდება, ეს ხომ ორმაგი ზარალი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. არადა, მთელ რიგ დარგებში (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში) ჯერ კიდევ შემოგვრჩა კვალიფიციური კადრები, გამოცდილი ლექტორ-პედაგოგები, რომლებსაც მართლა შეუძლიათ სტუდენტობას ნამდვილი, ანუ „კლასიკური“ განათლება, მისცენ შესაბამის დარგებში, ცოდნის მყარი ფუნდამენტი ჩამოუყალიბონ მათ და ასწავლონ სამეცნიერო კვლევის ეფექტური მეთოდები. ჯერ კიდევ შემორჩენილ კადრებს უნდა გავუფრთხილდეთ და ყველანაირად ხელი შევუწყოთ. ის ახალგაზრდა, რომელიც აქაურ უმაღლეს სკოლას გაივლის, თუნდაც შემდგომში მოღვაწეობა დროებით სხვაგან გააგრძელოს, მაინც საქართველოში არსებული მეცნიერული სკოლის წარმომადგენლად ჩაითვლება და არა რომელიმე კოსმოპოლიტ მეცნიერად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთის ქვეყნებში არსებული უმაღლესი სასწავლებლების დონეები საგრძნობლად მერყეობს და ბევრი იქაური უნივერსიტეტი განსაკუთრებული თვისობრიობით ვერ დაიკვეხნის. ასე რომ, იქაური დიპლომი თუ სერტიფიკატი ბევრ შემთხვევაში

რეალურად არაფერს არ წარმოადგენს.

**4.** ახალგაზრდები არ არიან უზრუნველყოფილნი მაღალი დონის ქართულენოვანი თანამედროვე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით. უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში შეწყდა შესაბამისი საყმაწვილო ჟურნალების გამოცემა. მაგალითად, ასეთი ბედი ეწია ისეთ ცნობილ ჟურნალს, როგორიც იყო „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“, რომელიც ათეული წლები გამოიცემოდა **(ბედის ირონიაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი და რედკოლეგიის მუდმივი წევრი იყო დოც. ავთანდილ ბენდუქიძე, მათემატიკური დარგების მგზნებარე პოპულარიზატორი, რომლის შვილმა კახა ბენდუქიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო სამამულო მეცნიერების ნგრევაში).** ამჟამად ცოდნის არსი ტესტებზეა დაყვანილი და ტესტებით გატენილი მაკულატურა უხვად იბეჭდება. როგორც წესი, სასკოლო სახელმძღვანელოები ძვირადღირებული და უხარისხოა, ხოლო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის განკუთვნილი თანამედროვე სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე თითქმის არ არსებობს. გარდა ამისა, სკოლისათვის თითოეულ დისციპლინაში უნდა იყოს შექმნილი ერთი სავალდებულო სახელმძღვანელო, რომელიც მრავალჯერ გადამოწმებული, ყოველმხრივ გაშალაშინებული და დახვეწილი იქნება. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს სხვა კარგი დამხმარე სახელმძღვანელოების არსებობასა და გამოყენებას.

**5.** ლომაიასა და მისთანების „რეფორმებმა“ მოსპო სამეცნიერო ხარისხების ორსაფეხურიანი სისტემა (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) და ამ ორი ხარისხის ნაცვლად შემოიღეს სხვა რამ – კონკრეტული უნივერსიტეტების აკადემიური ხარისხები. **საქართველოში ასეთი მიდგომა გაუმართლებელია, რადგანაც ამით ხელი შეეწყო აშკარა პროფანაციას.** მართლაც, აკადემიური ხარისხის მოთხოვნები ბევრ შემთხვევაში ყოფილი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოთხოვნებსაც ვერ უტოლდება. შედეგად მივიღებთ აკადემიური ხარისხის მქონე დოქტორების არმიას, რომლებსაც ძალზე დაბალი კვალიფიკაცია ექნებათ შესაბამის დარგებში. ამ კონტექსტში ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ორსაფეხურიანი სისტემა კვლავაც შენარჩუნებულია და წარმატებით მოქმედებს. მიზანშეწონილია ეს სისტემა ჩვენშიც რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს.

**6.** უმაღლეს სასწავლებლებში ბოლო ხანებში ჩატარებული კონკურსების შედეგად გასული პროფესურა იმდენად ჭრელია, რომ ერთი უნივერსიტეტის სრული პროფესორი თავისი დონით ვერ უტოლდება მეორე უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორსაც კი. ამრიგად, მივიღეთ პროფესორ-მასწავლებელთა აბსოლუტურად არაერთგვაროვანი შემადგენლობა, რომელსაც, ბუნებრივია, ვერ ექნება სათანადო ავტორიტეტი და დაფასება. შეიძლება ითქვას, ჩატარებული კონკურსები გამოიყურება როგორც ბლეფის უკიდურესი ფორმა: ვაკანსიები ცალსახად ორიენტირებული იყო გარკვეულ პიროვნებებზე, კონკურსების მსვლელობისას ხშირად იცვლებოდა საწყისი პირობები, კონკურსში ვერგასულებს გაუფორმეს უფრო შეღავათიანი კონტრაქტები და ა. შ. წინასწარ შერჩეული საკონკურსო კრიტერიუმები კრიტიკას ვერ უძლებს, ხოლო მხედველობაში აუცილებლად მისაღები ზოგიერთი პარამეტრი სავსებით იქნა იგნორირებული.

**ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ფაკულტეტებზე არჩეული ყოფილიყვნენ არა მართლაც წამყვანი სპეციალისტები, არამედ მეორე-მესამე ლიგის „მოთამაშეები“.** პარალელურად ხდება პროფანების ერთგვარი ლეგიტიმაციაც. მაგალითად, ახალგაზრდები, რომლებსაც ავალებენ ამა თუ იმ სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიმართულების კურირებას და რომლებსაც ჯერჯერობით არავითარი ცენზი არ გააჩნიათ, სასწრაფოდ შეჰყავთ დოქტორანტურაში, რათა ამით რაღაც წონა მაინც მიანიჭონ და მეტისმეტად მჩატედ არ გამოიყურებოდნენ. რა გამოსავალი უნდა მოინახოს ამ ქაოსიდან თავის დასაღწევად? **ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, რომ შემოღებულ იქნეს ქვეყნის პროფესორის წოდება (როგორც, მაგალითად, ეს არის პოლონეთში).** საჭიროა შეიქმნას სპეციალური კომისია, ცნობილ და დამსახურებულ მეცნიერთაგან შემდგარი, რომელიც აღნიშნულ წოდებას მხოლოდ ღირსეულ და ღვაწლმოსილ ადამიანებს მიანიჭებს. ქვეყნის პროფესორს უნდა ჰქონდეს ფიქსირებული მაღალი ჯამაგირი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობს იგი. ეს მიდგომა სახელმწიფოს საშუალებას მისცემს გამოიყენოს ასეთი პროფესურა მთელ რიგ რეგიონალურ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში, რომლებშიაც გარკვეულ ჩამორჩენას აქვს ადგილი და რომელთა დონე ამაღლებას მოითხოვს.

**7.** სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან ჩამოცილებით აკადემია ფაქტობრივად პასიური და მეტწილად ფორმალური როლისთვის გაწირეს. არადა, **სწორედ აკადემიაში უნდა იყოს თავმოყრილი მეცნიერებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ფუნქცია და სწორედ აკადემიამ უნდა განსაზღვროს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების სტრატეგია და მეცნიერული პრიორიტეტები.** აკადემიას აგრეთვე შეუძლია, დიდი როლი შეასრულოს სასწავლო-საგანმანათლებლო მიმართულებითაც. ამ კუთხით შეიძლება ჩამოყალიბდეს სამეცნიერო-პოპულარული ლექციების მთელი სისტემა. ამ ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი და ავტორიტეტული მეცნიერები აკადემიიდან და არა ის შემთხვევითი პიროვნებები, რომლებიც თავიანთ თავს ექსპერტებად ასაღებენ. აკადემიის ვერდიქტის გარეშე არ უნდა იბეჭდებოდეს სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის ოლიმპიადებსაც აკადემიის წარმომადგენლები უნდა ხელმძღვანელობდნენ, თუნდაც ოლიმპიადების ბოლო საფეხურზე, სადაც გამარჯვებულები ვლინდებიან (გავიხსენოთ, რომ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ა. კოლმოგოროვი და ი. კიკოინი, სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ ყოფილ საკავშირო ოლიმპიადებს მათემატიკასა და ფიზიკაში). **სწორედ რომ აკადემიის წარმომადგენელი უნდა აჯილდოებდეს ოლიმპიადაში გამარჯვებულს და არა რომელიმე სახელმწიფო მოხელე, რომელიც დღეს მაღალ თანამდებობაზეა, ხვალ კი შეიძლება სატუსაღოშიც აღმოჩნდეს. აკადემიამ უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე პროცესებზე.** აკადემიკოსების მიერ წაკითხული ლექციები უნდა ემსახურებოდეს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებასა და სრულყოფას. ამჟამად ეს ძალზე აქტუალური საკითხია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, ამჟამინდელი პროფესორ-მასწავლებლების დონე მეტწილად აბსოლუტურად არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს.

**8.** ცალკე საუბრის თემაა ობლად დარჩენილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შემდგომი ბედ-იღბალი. მათი თანამშრომლების ხელფასი მიზერულია, რის გამოც ვერ ხერხდება კადრების შევსება ახალგაზრდა მეცნიერებით. **ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სახელმწიფო მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებს ამ ინსტიტუტების გასანადგურებლად.** უფრო მეტიც, მაგალითად, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში დღემდე ლტოლვილები ბინადრობენ – იმ ინსტიტუტში, სადაც აკადემიის პრეზიდენტები ნ. მუსხელიშვილი და ი. ვეკუა მოღვაწეობდნენ! გარდა ამისა, ინსტიტუტის შენობის ერთი სართული უკვე გადაულოცეს და დაუმტკიცეს რომელიღაც სხვა დაწესებულებას. აქვე **გვინდა შევეკითხოთ ახალ მინისტრს, ბ-ნ დ. შაშკინს, თუ რამდენად ბუნებრივად მიაჩნია მას ასეთი ვითარება.** ხაზს ვუსვამთ, რომ საუბარია წამყვან სამეცნიერ-კვლევით დაწესებულებაზე და არა რომელიმე საშუალო სკოლაზე, სადაც ბ-ნი შაშკინი დროდადრო გამოჩნდება ხოლმე (ამას ტელეეკრანებიდან გვატყობინებენ).

**ერთ-ერთი აღმაშფოთებელი შედეგი განხორციელებული „რეფორმებისა“ იყო ის, რომ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ინსტიტუტებში აკრძალეს დოქტორანტურა, რითაც მიზანმიმართულად განახორციელეს ამ ინსტიტუტების დეგრადაცია.** არადა, სწორედ აკადემიის სისტემაში ფუნქციობდნენ მაღალი დონის სადისერტაციო საბჭოები. მავნებლური პოლიტიკა ინსტიტუტების მიმართ არის უგუნური ქცევის თვალსაჩინო ნიმუში. აუცილებლად უნდა მოხდეს აკადემიის სისტემაში თუნდაც რამდენიმე წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაბრუნება და ამ სისტემის ფუნქციური აღორძინება. სწორედ ორი სისტემის არსებობა (უმაღლესი სასწავლებლები და აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები) შექმნის გარკვეულ ბალანსს და მისცემს საშუალებას ახალგაზრდებს, ჩაერთონ ორივე პროცესიდან ერთ-ერთში მაინც. **წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში აუცილებლად წარმოიშვება სამუშაო ადგილების კრიზისი. ასე მოხდა მეორე მსოფლიო ომის წინ, როცა ევროპის უნივერსიტეტებში უკვე აღარ იყო ვაკანსიები აკადემიურ თანამდებობებზე და ევროპელი მეცნიერები ცდილობდნენ აშშ-ში მოენახათ სამუშაო ადგილები** (ეს მომენტი ძალიან კარგად არის ასახული იმავე ს. ულამის ავტობიოგრაფიულ წიგნში „მათემატიკოსის თავგადასავალი“). ამჟამინდელი გლობალური კრიზისის პირობებში ეს ბოლო საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება და გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვს. სრული უტიფრობა იქნება, თუკი უნივერსიტეტების გარეთ ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სისტემა საბოლოოდ დაინგრევა და განადგურდება. წარმოქმნილი დისბალანსი კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც უმძიმეს სამეცნიერო გარემოს საქართველოში.

**მეცნიერებისა და განათლების სფეროებში არსებობს სხვა, არანაკლებ მტკივნეული, პრობლემები და თუ მათ გარშემო დღესვე არ დაიწყო კვალიფიციური საჯარო მსჯელობა და გამოსავლის ძიება, ქართული მეცნიერების, განათლების (ზოგადად, კულტურის ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დეგრადაცია მიიღებს შეუქცევად ხასიათს მისგან გამომდინარე კატასტროფული შედეგებით.**

ალექსანდრე ხარაზიშვილი,
„ქართული აკადემიის“ წევრი.

---

◎ ენა მდიდარი...

**განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა**



# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

### 8. ისევ კალკების შესახებ

რადიო-ტელევიზიის მოსმენისას თუ ჟურნალ-გაზეთების წაკითხვისას ხშირად ვაწყდებით ხოლმე ისეთ გამოთქმებსა და წინადადებებს, თანაც ჟურნალისტის, მწერლის, თანამდებობის პირის ბაგეთაგან წარმოთქმულსა თუ ხელით დაწერილს, რომ მერე, რაც უნდა სიბრძნე დააფრქვიოს იმ „მოქართულემ“, შელახულ ავტორიტეტს ვერაფრით აღიდგენს. ეს ეხება, კერძოდ, რუსული ენის მეშვეობით მოზღვავებულ კალკებს.

გავიხსენოთ თუნდაც **მიერ** თანდებულის უადგილოდ გამოყენების რამდენიმე მაგალითი: **ჩვენს მიერ** მოხერხდა დაკავშირება უცხოეთის ფირმასთან; ჩვენ **წარმოგიდგინეთ** მოდელიორის **მიერ წარმოდგენილი** (ტავტოლოგიაა) კოლექცია; დელეგაციის **მიერ** ხელმოწერილ **იქნა** შეთანხმება; სცენის ოსტატთა **მიერ** აჟღერდება საყვარელი მელოდიები; ჩვენ არჩეული ვართ ამ ხალხის **მიერ...**

აკად. აკ. შანიძე მიგვითითებდა: ქართული ენა იძლევა საშუალებას, რომ აზრი ზუსტად გამოვხატოთ უთანდებულოდაც. ასეც არის: ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში **მიერ** თანდებული ზედმეტი ჩანს და უიმისოდაც ყოველი წინადადება ბუნებრივად, ლაკონიურად და სტილის მხრივაც გამართულად გამოიყურება. სწორი ფორმებია: **ჩვენ მოვახერხეთ...** (სწორი არ არის აგრეთვე **ჩვენს მიერ** (უნდა იყოს **ჩვენ მიერ**); **მოდელიერის წარმოდგენილი...**; დელეგაციამ **ხელი მოაწერა...**; **ააჟღერებენ** საყვარელ მელოდიებს...; ჩვენ **აგვირჩია...** ეს არ ნიშნავს, რომ თანდებული **მიერ** საერთოდ ამოღებულია ხმარებიდან. წინადადებაში – მოისპო ადამიანის **მიერ** ადამიანის ექსპლუატაცია – იგი სრულიად მისაღებია.

ასევე უმართებულოდ გამოიყენება ზედსართავი სახელი **მაღალი**.

განვიხილოთ საგაზეთო მასალის ასეთი წინადადება: ...რათა თავისი საქმიანობით აჩვენოს ადამიანური ზნეობისა და მორალის **მაღალი** მაგალითი. შესიტყვება **მაღალი მაგალითი** აშკარად კალკია. რასაკვირველია, ჯობდა: **საუკეთესო, მისაბაძი, ჩინებული, კარგი, დადებითი, ფასდაუდებელი, საგანგებო, საგულისგულო, გამორჩეული, განსაკუთრებული, კეთილშობილური...** მაგალითი.

ასევე უსწორო შესიტყვებებია **მაღალი** სტუმარი **(მოვალეობა, ჯილდო, მოწოდება)...** სწორია: **საპატიო (პატივსაცემი, სახელოვანი, ძვირფასი, სასურველი)** სტუმარი; **საპატიო** მოვალეობა, ჯილდო, მოწოდება...

აგრეთვე: არა **მაღალი** მოსავალი, არამედ **უხვი, კარგი;** არა **მაღალი** მაჩვენებელი, არამედ **საუკეთესო, შესანიშნავი;** არა მაღალი თვისებები, არამედ **კეთილი, კარგი, საუკეთესო, მისაბაძი;** არა **მაღალი** ავტორიტეტი (ნდობა, ჰონორარი, გასამრჯელო, ყურადღება), არამედ **დიდი.**

შეცდომაა: თბილისის უნივერსიტეტი **დაარსებულ იქნა** (დააარსეს) ქართველ მოღვაწეთა **მიერ** (ქართველმა მოღვაწეებმა). უნივერსიტეტის პირველ რექტორად **არჩეულ იქნა** (აირჩიეს) პეტრე მელიქიშვილი; **ადგილი აქვს** (имеет место) მძიმე ვითარებას (მძიმე, გაუსაძლისი; აღმაშფოთებელი, საგანგებო, საშიში ვითარებაა); **გაყიდვაშია** აკა მორჩილაძის ახალი წიგნი (იყიდება); მადლობა **მაღალი** პატივის გამო (მადლობას მოვახსენებ ესოდენ პატივისცემის, დაფასების, ყურადღების გამო...)... დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ კალკების ასეთ აგრესიას.

* * *

დიდი იაკობ გოგებაშვილი გვასწავლიდა: **„არაბუნებრივი ენის ხმარება სასტიკად ეწინააღმდეგება ხალხის ბუნებას... და მეტად აბრკოლებს ცოდნის მოფენას ხალხში“.**

---

◎ წკეპლიკა

# ჩემი ფსონი

**პირველი არხის (იმავე საზოგადოებრივი მაუწყებლის) ეკრანიდან ნაირ-ნაირ ფსონს გვთავაზობენ სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო პირველობის თემებზე:**

ვინ იქნება ის თავდამსხმელი, ვინც მარცხენა ფეხით გაიტანს გოლს; რომელი ნაკრებიდან გააძევებენ ყველაზე მეტ ფეხბურთელს; ასცილდება თუ არა ჰაერის ტემპერატურა 22 გრადუსს და სხვ.

მეც შემოვდივარ „საფსონო“ იდეით: წავა თუ არა და თუ წავა, პირველობის რომელ ეტაპზე საქართველოს პრეზიდენტი სამხრეთ აფრიკაში? მე პირადად ნახევარფინალებზე „ვპროგნოზობ“ და ჩვენს ყველგანმავალ ბელადს პატარა ლექსსაც ვუძღვნი დიდი შოთა ნიშნიანიძის მოტივებზე: **„მუნდიალი გადის გალმა, შენ არ ჩანხარ რატომმო? აფრიკაში როდის წახვალ, მიხეილო-ბატონო! ნატვრის ჯერი თუკი არის, იქ შენს ჩასვლას ვნატრობო. ქუდს მოგიხდის მუნდიალი, მიხეილო-ბატონო!**

ლუკა გორგაძე

---

◎ ინფორმაცია

## ლარის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება

**ლარის სტაბილურობას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში საფრთხე არ ემუქრება, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა.**

**სებ-ის პრეზიდენტი ამბობს, რომ ლარი მუდმივად იმერყევებს როგორც გამყარების, ისე გაუფასურების კუთხით. თუმცა, ქადაგიძის თქმით, ლარის სტაბილურობას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში არანაირი საფრთხე არ ემუქრება, რადგან გამყარებულია სავალუტო რეზერვით.**

**როგორც ცნობილია, ლარის ოფიციალურმა კურსმა, ივნისის დასაწყისში 4-წლიან მაქსიმუმს მიაღწია.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო „განტვირთვას“ გადასინჯავს

**თბილისი. წყვილი ქუჩის კაფეში ლუდს შეექცევა, გაურბის ბადრაგნებთან ერთობან, რათა როგორმე გაექცნენ სიცხეს. პარკებში მოსეირნე ძაღლები თამაშობენ, ტროტუარებზე კი ათასნაირი რამით ვაჭრობენ**

მოუვლელ, ქაოტურ და მოუხიბლელ ქალაქში ჩვეულებრივი ხმაურიანი და ნათელი ზაფხულია.

ჭეშმარიტად ჩვეულებრივია, თუ ერთ რამეს არ მივიღებთ მხედველობაში: პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისში თბილი ამინდის დადგომას თან არ ახლავს ხმები მომავალი ომის შესახებ.

უშფოთველი სიმშვიდე მკვეთრ კონტრასტშია 2008 წლის ცხელ ზაფხულთან, რომლის კულმინაციაც რუსეთის საქართველოში აგვისტოს შეჭრა გახლდათ. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება გასული წლის ნერვული ატმოსფეროსგან, როდესაც მოსკოვში იარაღის ჟღარუნის ახალმა ნაკადმა ბევრი პოლიტიკოსი და მიმომხილველი აიძულა ევარაუდა – როგორც აღმოჩნდა, შეცდომით, – რომ შეიარაღებული კონფლიქტი განმეორდება.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად აღნიშნავდნენ მწუხარებას იმის გამო, რომ 2008 წლის კონფლიქტის დროს ქვეყანას მხარი არ დაუჭირა ამერიკამ, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წაქეზებისა. მაგრამ ახლა ისინი ამბობენ, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ქებას იმსახურებს დაძაბულობის მოხსნისთვის და რეგიონში სიწყნარის შენარჩუნებისთვის.

„რუსეთის მხრიდან ფართომასშტაბიანი უშუალო საფრთხე თუ სრულად არ იქნა განადგურებული, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მეტად აქტიური პოზიციის წყალობით“, – ამბობს გიგა ბოკერია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი.

ბოკერია ამბობს, რომ ობამამ „დიდი ძალისხმევა“ გამოიჩინა, რათა აშკარად წარმოეჩინა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტის საკითხში თავისი ეპოქალური ვიზიტის დროს მოსკოვში 2009 წლის ივლისში.

მაღალი რანგის ქართველი ჩინოვნიკები ამტკიცებენ, რომ კულუარებში ობამამ გააფრთხილა მედვედევი და პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, რომ საქართველოზე თავდასხმა მიგვიყვანს „სერიოზულ შედეგებამდე“, – და რომ ვაშინგტონი, რომელიც 2008 წლის ჩამოშორდა საქართველოს მომავალი პრეზიდენტის არჩევნების გამო, „განზე არ დადგება“, თუ კონფლიქტი განმეორდება.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა უარი განაცხადა გაფრთხილების კომენტარზე, აღნიშნა, რომ „ჩვენ პიროვნულ საუბრებს არ განვიხილავთ“. მაგრამ რაც იქ უნდა ითქვას, როგორც ჩანს, იდეა მივიდა ადრესატამდე – და ეს ხალხმაც შენიშნა თბილისში.

თავდაპირველად ხალხი შეშფოთებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ინტერესები შეეწირებოდა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ქართველები, როგორც ჩანს, შეეგუენ პოლიტიკურ განტვირთვას, რასაც ობამა ახორციელებს მოსკოვთან დამოკიდებულებაში. ქართველი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ამბობენ, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობებმა ორ ყოფილ მტერს შორის საშუალება მისცა ვაშინგტონს, მოეხდინა ჩუმი, მაგრამ ეფექტიანი გავლენა მოსკოვზე, რამაც გააძლიერა საქართველოს უშიშროება.

„ეტყობა რაღაც იყო იმით, რასაც რუსეთი დაკარგავს, თუ თავს დაესხმის საქართველოს“, – ამბობს პოლიტოლოგი გიგა ზედანია, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების და თანამედროვეობის ინსტიტუტის დირექტორი.

„ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრობლემა იყო რუსეთზე გავლენის ბერკეტების უქონლობა, ვინაიდან მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არავითარი თანამშრომლობა არ არსებობდა. როდესაც დამყარდება ეს ურთიერთხელსაყრელი კავშირები რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, რუსეთს ექნება მეტი სტიმული ორჯერ დაფიქრდეს იმაზე, ვიდრე გააკეთებდეს რაიმეს 2008 წლის მსგავსს“.



იმას, რომ ამჟამად რუსეთს აქვს ის, რაც შეიძლება დაკარგოს, შესანიშნავად წარმოაჩენს პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის პირველი ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში, რომელიც ამ კვირაში მიმდინარეობს.

ობამასთან ორმხრივი თანამშრომლობის მრავალრიცხოვან საკითხებზე მოლაპარაკების გარდა მედვედევი დაიწყებს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის ძიებას მოსკოვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან შეერთებისკენ სწრაფვასთან დაკავშირებით. მედვედევმა თავისი ვიზიტი დაიწყო კალიფორნიაში სილიციუმის ველის დათვალიერებით, სადაც იგი ცდილობდა მიეპყრო ინვესტორების ყურადღება რუსეთის ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური დარგების მოდერნიზაციის ამბიციურ გეგმებში ჩართვისკენ.

მაგრამ ამერიკელი ჩინოვნიკები ამბობენ, რომ თავისი ვიზიტის დროს რუსეთის პრეზიდენტს შეუქმნას, მოიპოვოს ზოგიერთი რამ საქართველოს შესახებაც. უფრო კონკრეტულად, ამერიკელები, როგორც ეტყობა, დააჯერებენ საკითხს ოსეთის ოკუპაციის და მოსკოვის უარზე შეაჩეროს თავისი ჯარების რაოდენობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერა თავად მედვედევმა ევროკავშირის შუამავლობით.

10 ივნისს პეტერსონის სახელობის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტში თავისი გამოსვლის დროს ობამას მთავარმა მრჩეველმა რუსეთის საკითხში მაიკლ მაკფოლმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ არის კმაყოფილი პროგრესით ამ საკითხში და განზრახული აქვს ლობირება გაუწიოს მას მედვედევთან მისი ვიზიტის დროს.

„არის თუ არა ობამას ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური ამოცანა – დაესვას წერტილი რუსეთის ოკუპაციას საქართველოში და აღდგეს ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა? აბსოლუტურად ზუსტად – დიახ. ეს არის ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. მივაღწიეთ რაიმე პროგრესს ამ ამოცანაში? ჩემი პასუხია – არა, ვერ მივაღწიეთ. ასეთია სიმართლე“, – თქვა მაკფოლმა.

„ჩვენ გვაქვს მიზანი, – დაუმატა მან. – ჩვენ გვაქვს სტრატეგია, რომელსაც მივსდევთ, და ამას კვლავაც გავაკეთებთ, როდესაც ჩამოვა პრეზიდენტი მედვედევი“.

კიდევ უფრო რომ ხაზი გაესვას ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესებას საქართველოთი, სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ივლისის დასაწყისში ჩავა თბილისში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი მოგზაურობის დროს, რომლის ფარგლებშიც ის მოინახულებს აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანს.

შარშან ზაფხულში ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკვე მოინახულა თბილისი.

რასაკვირველია, ქართველები ძველებურად გრძნობენ, რომ დაკარგეს თავიანთი წონა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლებაში ობამას მოსვლასთან ერთად. ქვეყნის განაცხადი ნატოს წევრობაზე, რაც დაახლოებით ორი წლის შემდეგ პრობლემასაც აღარ წარმოადგენდა, ახლა გადაიდო გაურკვეველი ვადით. ყურადღება, რასაც ოდესღაც არ იშურებდა ჯორჯ ბუში საქართველოსთან დაკავშირებით, მის პატივსაცემად სხვათა შორის, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი, – ეს საქმე უკვე წარსულია, ობამას ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური ამოცანები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველო და ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ავღანეთი და ირანი.

„ძალიან მწამს, რომ თუ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა გაფართოვდება და განმტკიცდება, ეს საქართველოს სასიკეთოდ წაადგება მხოლოდ“, – ამბობს გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი და ამჟამად ოპოზიციის მოძრაობის ლიდერი ირაკლი ალასანია.

ის ახსენებს „უზარმაზარ პრობლემებს უშიშროების დარგში“, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ელვისებური ომის შემდეგ, და ამბობს, რომ თბილისი „ამ პრობლემებს მარტო თავს ვერ გაართმევს“.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ თანამშრომლობას რუსეთთან ჰყავს თავისი კრიტიკოსებიც.

შარშან ივლისში აღმოსავლეთ ევროპის გამოჩენილი ინტელექტუალებისა და ყოფილი პოლიტიკოსების ჯგუფმა, რომელთა შორისაც იყვნენ ჩეხეთისა და პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტები ვაცლავ ჰაველი და ლეხ ვალენსა – გამოაქვეყნა ღია წერილი ბუშის ადმინისტრაციას, რომელშიც გამოხატული იყო შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ისეთი პატარა ქვეყნების ინტერესები, როგორიცაა საქართველო, ჩამოშორებული იქნება თავიდან, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების კვალობაზე.

ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში 15 მაისს დევიდ კრემერმა, რომელიც ბუშის ადმინისტრაციაში მუშაობდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილედ ევროპისა და აზიის საკითხებში, განაცხადა, რომ ადმინისტრაცია მიდგომიდან „რუსეთი უწინარეს ყოვლისა“ გადადის მიდგომაზე „რუსეთი და მხოლოდ რუსეთი“.

კრემერმა აგრეთვე აღნიშნა, რომ „123-ის შეთანხმების“ ხელმეორედ შეტანა იწვევს ობამას ადმინისტრაციის პრიორიტეტების შეშფოთებას.

მაღალი რანგის დასავლელმა დიპლომატმა თბილისში, რომელიც დაგვთანხმდა კომენტირებაზე ანონიმურობის პირობით, აღნიშნა, რომ საქართველოსადმი ბუშისა და ობამას მიდგომების სხვაობა ძირითადად გარეგნულია და ძალიან გადაჭარბებული.

„ცვლილებანი ნაკლებია, ვიდრე ამას საზოგადოებრივი აზრი მიუთითებს, – განაცხადა დიპლომატმა, – ურთიერთობანი არ ყოფილა აუცილებელი წინა ადმინისტრაციის დროს და ამჟამინდელი ადმინისტრაციის დროსაც ძალიან არ შეცვლილა, როგორც ეს ზოგიერთს სურს ირწმუნოს. ფუნდამენტური სტრატეგიული პრინციპები არ შეცვლილა. შეიცვალა პირობები რეგიონში“.

ბოკერია ეთანხმება ამ მტკიცებას და აღნიშნავს, რომ საქართველოს ინტერესები არ ყოფილა მსხვერპლად შეწირული რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვის რომელიმე ეტაპზე.

„ადმინისტრაციის სტრატეგიაში რაიმე წინსვლა არ ყოფილა“, – ამბობს ბოკერია.

„ჩვენ ვიცით, რომ იქ მიდის განტვირთვა რუსეთთან და რომ მათ აქვთ მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უნდა განიხილონ მოსკოვთან. მაგრამ ამ პროცესში არ ყოფილა არც ერთი რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომ არ ყოფილიყო განხილული საქართველოს სუვერენიტეტისა და უშიშროების საკითხები“.

Radio Free Europe Radio Liberty

# ამერიკასთან თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები

**ახლოვდება რუსეთ-საქართველოს ომის მეორე წლისთავი, რამაც დასავლეთში მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. როგორ ვითარდებოდა ურთიერთობანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში? ამ საკითხზე შეეცადნენ გაეცათ პასუხი პოლიტოლოგებს კოლუმბიის უნივერსიტეტიდან – ალექსანდრ კულის და ლინკოლნ მიტჩელს მოხსენებაში, რომლის სათაურიცაა „აგვისტოს ომის შემდეგ: ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სტრატეგია საქართველოში“**

მოხსენების პრეზენტაციის დროს, რომელიც 23 ივნისს გაიმართა, ალექსანდრ კულიმ აღნიშნა, რომ თავდაპირველად ისინი სკეპტიკურად მოეკიდნენ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის, რომელიც მიიღეს 2009 წლის იანვარში. „მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, – განაგრძო ანალიტიკოსმა, – ჩვენ დავრწმუნდით რომ ქარტიამ მოგვცა შესაძლებლობა, დაგვემყარებინა უფრო ფართო თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის, თანაც განსაკუთრებით გაძლიერდა თანამშრომლობა ცალკეულ სახელმწიფო უწყებებს შორის“.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ემყარება საერთო-დემოკრატიულ ღირებულებებს – ამიტომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარებამ არ უნდა მიგვიყვანოს საქართველოს გადაქცევამდე ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვარ ვასალად.

კერძოდ, ლინკოლნ მიტჩელი მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საქართველოს წინსვლას დემოკრატიისკენ, ვინაიდან მხოლოდ დემოკრატიას მივყავართ ხანგრძლივ სტაბილურობამდე ქვეყანაში. ექსპერტმა მოუწოდა თეთრ სახლს უფრო მომთხოვნი იყოს საქართველოს მთავრობის მცდელობისადმი, ააგოს დემოკრატიული ინსტიტუტები.

ლინკოლნ მიტჩელმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიმუშაოს საქართველოში პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების უფრო ეფექტიანი მექანიზმები – ეკონომიკური დახმარების გაწევის გარდა. საქართველოს მთავრობისთვის ფინანსური მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატები ხშირად ეხმარება საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერებს, მოიპოვონ პოპულარობა მოსახლეობაში, ვიდრე განამტკიცონ დემოკრატია მთლიანად, აღნიშნავს ანალიტიკოსი.

კულისა და მიტჩელის მოხსენების პასუხად, საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბათუ ქუთელიამ მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს მხარდაჭერისთვის, რომელიც მან გაუწია ქვეყანას ომის შემდეგ. მან ჩამოთვალა საქართველო-ამერიკის ურთიერთობათა ოთხი ძირითადი მიმართულება – თანამშრომლობა დემოკრატიის სფეროში, დემოკრატიის მშენებლობაში, ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებაში, აგრეთვე სახალხო დიპლომატიაში.

ამავე დროს საქართველოს ელჩმა აგრეთვე აღნიშნა, რომ თანამშრომლობა თბილისსა და ვაშინგტონს შორის, ეს ერთი კონკრეტული პოლიტიკის დამსახურება კი არა, ისტორიულად ჩამოყალიბებული მჭიდრო და ნდობითი ურთიერთობანია. „საქართველო-ამერიკის ურთიერთობა ემყარება ღირებულებებს, რასაც ქართველი ხალხი იყოფს ამერიკელებთან, – თქვა ელჩმა. – და თუ ისტორიას მივმართავთ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ მჭიდრო ურთიერთობათა მშენებლობის ტენდენციები არსებობდნენ ყოველთვის და დღეს თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის აღმავლობის გზაზეა“.

ბათუ ქუთელიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის ბევრი საკითხი დაკავშირებულია რთულ ურთიერთობებთან, რომლებიც არსებობენ დღეს თბილისსა და მოსკოვს შორის. „საქართველოს ორი რეგიონი დღეს ოკუპირებულია, მაგრამ საერთაშორისო გაერთიანება დღემდე გაურბის იმას, რომ საგნებს დაერქვას თავიანთი სახელები“. ქართველი დიპლომატის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის კავშირურთიერთობათა შემდგომი განმტკიცებისთვის ვაშინგტონმა და სხვა დასავლელმა პარტნიორებმა უნდა აღიარონ ის ფაქტი, რომ რუსეთი ახდენს საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას.

პასუხად ალექსანდრ კულიმ განაცხადა, რომ თუ საქართველო გააგრძელებს დაჟინებით მტკიცებას, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებია, მაშინ დაძაბული სიტუაცია შენარჩუნდება მრავალი წლის განმავლობაში. ამასთან ერთად, კული და მიტჩელი აღიარებენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერჯერობით ვერ შეიმუშავა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმები.

VOA NEWS Голос Америки

## დედამიწის ზურგზე



**მედვედევმა მოხიბლა ამერიკა უბრალოებით: მიირთვა ფასტფუდი და აცინა შვარცენეგერი**

ექსპერტები აღნიშნავენ დიმიტრი მედვედევის იმიჯის ცვლილებას და მის სწრაფვას წარმოაჩინოს თავი, როგორც სახელმწიფოს პროგრესულმა დასავლელმა ხელმძღვანელმა, რომელსაც შეუძლია გამართოს ოფიციალური პრესკონფერენციებიც და გაიყოს კარტოფილის ფრი ბარაკ ობამასთან ჩვეულებრივ ამერიკულ სასაუზმეში, იხუმროს რკინის არნიზე.

* * *



**60 წელი კორეის ომის დაწყებიდან: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აპირებს მოახდინოს ახალი ბელადის კურთხევა**

ღირსსახსოვარ ღონისძიებებში, რომლებიც გაიმართა სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იმ ქვეყნებში, რომლებიც გაეროს დროშით მონაწილეობდნენ 1950-53 წლების კონფლიქტებში, გაისმოდა მოწოდებები ფხენიანის მისამართით – შეწყვიტოს სამხედრო პროვოკაციები და დაუბრუნდეს დიალოგს. ქვეყანა კი ჯერჯერობით ცდილობს ჩაუნერგოს ხალხს კიმ ჩერ ინის შვილისადმი სიყვარული.

* * *

**მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა აღაშფოთა თანამებრძოლები თვითშემოქმედებით წამოიწყო ბრძოლა „რუს ოკუპანტებთან“**



თითქმის ყველა მეთვალყურე ერთი აზრისაა იმასთან დაკავშირებით, რომ მიხაი გიმპუს ბრძანებულება საბჭოთა ოკუპაციის დღის დაწესებასთან დაკავშირებით დაკავშირებულია მის მცდელობასთან – ნებისმიერი საშუალებით შეინარჩუნოს ხელისუფლება და თავიდან აიცილოს ვადამდელი პარლამენტის არჩევნები. გიმპუს კოლეგები მმართველი ალიანსის მხრიდან აღშფოთდნენ, როდესაც ამ ბრძანებულების შესახებ გაიგეს პრესიდან.

* * *

**ათენში ააფეთქეს იმ მინისტრის მრჩეველი, ვინც პასუხისმგებელია ტერორიზმთან ბრძოლაში**

ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელსაც არ ჰქონდა საათის მექანიზმი და მოქმედებდა კონტაქტური პრინციპით, მოთავსებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრისთვის საჩუქრად გამზადებულ კოლოფში, რომელიც მიიტანეს ადიუტანტის კაბინეტში. მას შემდეგ, რაც თანამშრომელმა კოლოფი გახსნა შესამოწმებლად, გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა. ადიუტანტი დაიღუპა, შენობა კი დიდად დაზიანდა.



და ჭაბუკი დარჩა მარად....

# დაძმობის მადლი....



**ამ სამიოდე წლის წინათ დიდი ტრაგედია დატრიალდა სახელაშვილების ლამაზ და სიკეთით სავსე ოჯახში: ჩვენს სამეზობლოში, უბანში, თბილისში ცნობილ ბატონ ზურაბსა და ქალბატონ დარეჯანს ჩუმად, ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ მათი ვაჟკაცი ბიჭის სიცოცხლე შეიწირა...** სამეზობლოს სიამაყე, ჩვენს თვალწინ გაზრდილი ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტი და სპორტსმენი, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი, მოხდენილი, ასე ტრაგიკულად წავიდა ჩვენგან.... ზურიკოს მშობლებს დღემდე ცრემლი არ შეშრობიათ თვალზე. ერთადერთ დაიკოს კი, მათთან ერთად დარდი და ფიქრი იმისა თუ როგორ უკვდავყოს ძმის სახელი.

რასაც ქვემოთ ვწერ სინამდვილეა, ჩვენ თვალწინ მოხდა, ჩვენთვის პატარა – კოხტა თათა-თათულიმ, დღეისათვის ცნობილმა ახალგაზრდა ქალბატონმა, როგორ აუგო მარადისობის ძეგლი თავის ერთადერთ ძმას ზურაბს, სიყვარულით ყველანი ზუკას რომ ეძახდნენ.... ჩვენი ზუკა-ზურაბ სახელაშვილი წყალბურთში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წამყვანი წევრი იყო. მავანმა, მიკერძოებაში რომ არ ჩამითვალოს, ზურაბი მართლაც გამორჩეული იყო თავის ტოლებში (ენდეთ ჩემი სიტყვას, ძველი წყალბურთელის შეფასებასძ. ზუკას დაიკოს, ჩვენი თათას ინიციატივითა და ძალისხმევით, რა თქმა უნდა, მისი უახლოესი უნიჭიერესი, საზოგადოებაში ცნობილი ახალგაზრდების – თათასა და ზუკას მეგობრების დახმარებით, საქართველოს საწყლოსნო სპორტის ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტის, „ლაგუნა-ვერეს" დირექციის და კიდევ მრავალი ორგანიზაციის თუ ფირმების ხელშეწყობით (მაპატიონ, ყველა ვერ ჩამოვთვალეძ პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყოველწლიურად ტარდება წყალბურთელთა ტურნირი – „ზუკას თასი". ადრე, საქართველოს გუნდების მონაწილეობით, ხოლო შარშან და წელს უცხოეთის ქვეყნების გუნდების ჩათვლით.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ნებართვით მომავალ წელს ეს შეჯიბრება ოფიციალურად საერთაშორისო ტურნირის სტატუსს მიიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ინტელექტუალური ქალბატონი პრესტიჟული სამსახურების მენეჯერია, ერთი წუთითაც არ ივიწყებს სათაყვანებელი ძმის ხსოვნასთან დაკავშირებულ საქმეებს – მოვლენებს, ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რამოდენა ძალა და ენერგია მიაქვს ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს – სტუმრების მიღებას, წყალბურთელთა გუნდების ეკიპირებას, შეჯიბრების კონკრეტულად ჩატარების ტექნიკურ მხარეებს, სათანადო პრიზებითა და საჩუქრებით სპორტსმენთა დაჯილდოებას და ა. შ. წარმოიდგინეთ, ტურნირისათვის, სპეციალური დაკვეთით, ცნობილ ხელოვანს – „ზუკას თასი" დაამზადებინა, ორიგინალური დიზაინით, ძვირფასი მასალით, მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული... ასეთი ტურნირი იშვიათია – უნიკალურია, ვგონებ ერთადერთი, რომელიც უსაყვარლესმა დაიკომ უძღვნა უკვდავებაში გადასულ ძმის ხსოვნას...

ასე, ამგვარად ცხოვრობს ჩვენი თათათათული ორი ცხოვრებით, ორი სიცოცხლით – ძმას, რაც უყვარდა, რაც ვერ მოასწრო, რაც გაახარებდა... და თავისი ცხოვრებით, ისეთით, ძმას რომ მოეწონებოდა...

დრო, დროა ყველაფრის მკურნალი ჩემო ძვირფასო მეგობრებო და მეზობლებო – ბატონო ზურაბ და ქალბატონო დარეჯან, სწორედ, ამიტომ დაგრჩათ – გყავთ თქვენთვის მუდამ პატარა გოგონა და ჩვენთვის უკვე დიდი ქალბატონი, რათა დიდი დარდი და მწუხარება შეგიმსუბუქოთ, ხოლო ჩვენ ყველას გვაგრძნობინოს მარადიული ხსოვნის, მარადიული სიყვარულის სიდიადე და საოცრება.

გმადლობთ სახელაშვილების სახელოვანო ოჯახო!

**ოთარ მიმინოშვილი**

რას არ გაიგებ!..

# ჰიტლერი „მერსედესზე" შეღავათს ითხოვდა

**2 ივლისს ბავარიის ქალაქ ფიურტში სავაჭროდ გამოტანილი იქნება ადოლფ ჰიტლერის არაჩვეულებრივი წერილი. ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგი ითხოვს ფასდაკლებას ავტომობილ „ბენცზე" კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენლისგან. ვაჭრობის ორგანიზატორია სააუქციონო სახლი „ბერინგერი".**

დოკუმენტი დათარიღებულია 1924 წლით. მაშინ მომავალი ფიურერი სასჯელს იხდიდა ლანდსბერგის ციხეში „ლუდის პუტჩის" ორგანიზაციისთვის. როგორც აღმოჩნდა, ჰიტლერი ციხეში არა მხოლოდ იმუქრებოდა ხელისუფლებით და წერდა თავის „მაინ კამპფს" (ჩემი ბრძოლაძ, არამედ ზრუნავდა პრაქტიკულ საკითხებზეც. როგორც წერილის ტექსტიდან ჩანს, პატიმარი აპირებდა ავტომობილის შესყიდვას. და ეს იმ ეპოქაში, როდესაც ავტო ითვლებოდა სასწაულთა სასწაულად, რჩეულთა პრივილეგიად, რემარკის გმირები კი გაუფასურებული ქაღალდის მარკით სავსე ჩემოდნებით დადიოდნენ მაღაზიებში პროდუქტების საყიდლად.

ჰიტლერი არ წვრილმანობდა – მან არჩევანი შეაჩერა კომპანია „ბენცის" რუხი ფერის 11-14 მოდელზე, სპიციანი დისკებით. მანქანა მთელი ქონება ღირდა – 18 ათასი ახალი რეიხსმარკა (შემოიღეს 1924 წლის აგვისტოშიძ. შედარებისთვის – კვალიფიციური მუშის ხელფასი ვეიმარის რესპუბლიკაში 70-150 რეიხსმარკა იყო.



მომავალ ფიურერს ფული არ ჰყოფნიდა, ამიტომ შეეცადა გამოეტყუებინა უფრო მისაღები პირობები: „ჩემი სირთულეა ის, რომ სამუშაოდან შემოსავალს („მაინ კამპფზე" – რედ.ძ შემიძლია მივიღო მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებისთვის. ამიტომ იძულებული ვარ, ავიღო სესხი. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჩამოფასება ათას და მეტ მარკაზე ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობისაა". ამას გარდა კლიენტი გამყიდველთან აზუსტებდა, თუ რამდენად საიმედოა ავტომობილის ძრავა (11 ცხენის ძალაძ. „უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში არ მექნება საშუალება ვიყიდო ახალი ავტო", – წერდა ჰიტლერი.

„ამგვარი არტეფაქტებისადმი ინტერესი გერმანიაში დღეს დიდი არ არის", – აღნიშნავს სააუქციო სახლის მეპატრონე ვერნერ ბერინგერი. – ჯერ ერთი, წერილი წარმოდგენილია არა დედნით, არამედ მხოლოდ ასლით, რომელიც გაკეთებულია ციხის ადმინისტრაციის მიერ (ორიგინალი დაკარგულიაძ. მეორეც, ჰიტლერის მემკვიდრეობის კოლექციონირება – არ არის კომიფლო. ამიტომ წერილი გაიყიდება ლანდსბერგის ციხეში ფიურერის პატიმრობის 500-ზე მეტი დოკუმენტის შემადგენლობაში (მთელი არქივის საერთო სასტარტო ფასი – 520 ათასი ევროაძ. ბერინბერგმა გვაცნობა, რომ ლოტის პოტენციური მყიდველია ბავარიის სახელმწიფო არქივი, მაგრამ მისი სასტარტო ღირებულება შეიძლება გადაფარონ ისტორიკოსმა კოლექციონერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

წინადადება

# სიტყვას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია ფასი

**„ის ოთხი წელიწადი" – ასე ჰქვია ყოფილი პარლამენტარის ნატო ჩხეიძის წიგნს, რომელიც პირად გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს ეფუძნება. პარლამენტში გატარებული ოთხი წელი (1999-2004) მღელვარებითა და დრამატიზმით იყო აღსავსე. სწორედ ამ პერიოდს ასახავს დიდძალ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული მემუარული ყაიდის ჩანაწერები, უშუალოდ რომ აირეკლავს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.**

წიგნის შექმნის ისტორიაზე, მის ღირსებებზე ისაუბრეს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში," სადაც წარდგინება გაიმართა.

წიგნის რედაქტორმა, მწერალმა **როსტომ ჩხეიძემ** აღნიშნა, რომ ავტორმა თავის დროზე თარგმნა სტივენ კრეინი, ვაშინგტონ ირვინგი. ამ წიგნის გამოსაცემად კი დროს ელოდებოდა ფორმის მოსაძებნად, და თავი მოუყარა პუბლიცისტურ სტატიებს, წერილებს, საპარლამენტო გამოსვლებს. მათგან ის ნაწილი შეარჩია, რაც მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნის კომპოზიციას შექმნიდა.

როსტომ ჩხეიძის თქმით, წიგნი აირეკლავს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას და, იმავდროულად, მთელ ქართულ ბედისწერას გადასწვდება. და კიდევ - მიუკერძოებლობისა და ღრმა ანალიტიკური განსჯის წყალობით გზამკვლევად გამოადგებათ ისტორიკოსებს, სოციოლოგებს, პოლიტოლოგებს, ფსიქოლოგებს.




თავად **ნატო ჩხეიძემ** კი განაცხადა, რომ სურდა მამისადმი – ოთარ ჩხეიძისადმი რაღაც მიეძღვნა. „როსტომმა დაწერა „აგვისტოს შვილები," მეც დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ უამრავ მასალაში გამიჭირდა ამორჩევა. ბოლოს, 3 მარტის, 8 მარტისა და 14 მაისის თემამ კომპოზიციური ქარგა შეკრა. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ 8 მარტის დაკანონებისა და ვემხრობოდი საქართველოში ქალთა დღედ 14 მაისის – თამარობის გამოცხადებას. ამის შემდეგ ინტერვიუები, სტატიები თავისთავად დალაგდა იმის მიხედვით, რაც მამისადმი მიძღვნას გამიადვილებდა. ასე შეიქმნა ეს წიგნი," – აღნიშნა ნატო ჩხეიძემ. მისი განმარტებით, ესაა ფრანგული და არა ევროპულ-ამერიკული მიძღვნა. ესეს სტილით ჩამოყალიბებულია, ვის, რატომ ეძღვნება წიგნი.

**მაკა ჯოხაძემ** აღნიშნა, იმდენად მწარეა რეალობა, იქმნება განცდა, რომ საქართველო მითია. ის, ვინც დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, მოვალეა განაგრძოს მარადიული მითი-საქართველო: „ოთარ ჩხეიძე საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. როცა თვალს მიადევნებ ყოველდღიური ცხოვრების წესს, დიდ შემოქმედს არც ერთი წამით არ უცხოვრია საკუთარი სამშობლოსა და ინტერესების მიღმა. მინდა მისი სიცოცხლის ბოლო წუთებს გავუსვა ხაზი – მან ანდერძად დაუტოვა შვილებს – მოუარეთ იაკობ გოგებაშვილს. სამყაროში უკვე აღარ ტოვებენ ამგვარ ანდერძებს, ასევე, საქართველოშიც არიან ადამიანები, რომლებიც ვერ გაიგებენ და უკვირთ ეს ანდერძი.

ოთარ ჩხეიძემ იცოდა, როგორ შვილებს უტოვებდა ანდერძს. ისინი ამ ანდერძს პირნათლად ასრულებენ."

ამ ნიჰილისტურ საქართველოში, სადაც ძალიან დიდი სკეფსისია, დავინახე, რომ სიტყვას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია ფასი იმ ბრძოლის ველზე, რასაც პარლამენტი ჰქვია, დასძინა მაკა ჯოხაძემ.

„თუ ჭეშმარიტი გზით არ დადიხარ, სამართალს ვერ იპოვი, – აღნიშნა ჯანსულ ჩარკვიანმა, – ავტორი ქვეყნის სამართალს ეძებს. ეს არის იურისტის ხელით დაწერილი წიგნი. წაიკითხავ და მიხვდები, საქართველოს როგორი მოამაგე ადამიანი სჭირდება."

**იოსებ ჭუმბურიძემ** ხაზი გაუსვა ნატო ჩხეიძის პრინციპულობას ერის ღირსების დასაცავად.

**ტარიელ ჭანტურიამ** კი დანანებით განაცხადა, რომ საქართველოში თამარი ჩავანაცვლეთ შორენა ბეგაშვილით. არადა, ხვალ-ზეგ თამარი უნდა იყოს მართლაც, დედა ქართლისა, დიდმა მეფემ ბარბაროსულ მე-12 საუკუნეში სიკვდილით დასჯა აკრძალა, ძსოვდა, ქარგავდა და ძვირად ყიდდა. შემოსავლით კი ღლახაკებს განიკითხავდა. „მინდა თამარის დაწყებული საქმე ნატო ჩხეიძემ ბოლომდე მიიყვანოს. საქართველოში გაჩნდეს საზოგადოება „თამარი", რომელიც განავითარებს ქართულ კულტურას და თამარი ჩაანაცვლებს შორენა ბეგაშვილს."

ნატო ჩხეიძეს **ნინო ბურჯანაძემ** ყვავილების თაიგული გამოუგზავნა. წიგნის ავტორს პარლამენტარობამ ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში მოუწია. „პაექრობა პაექრობად რჩება, ურთიერთობა – ურთიერთობად. ყიზილბაშმა რომ უთხრა გოსტაშაბიშვილს, თუ ვინმესთან დამარცხებას ვისურვებდი, მხოლოდ შენნაირ ვაჟკაცთანო, მეც, თუ ვინმესთან დამარცხებას ვისურვებდი, ნინო ბურჯანაძის მსგავს პოლიტიკოსთან,"-აღნიშნა ნატო ჩხეიძემ. და იქვე მადლობა გადაუხადა ყველა იმ ჟურნალისტს, ვისი სტატია თუ ინტერვიუ ამ წიგნში მოხვდა, უწინარესად კი – გაზეთ „ახალი ეპოქის" მაშინდელ რედაქტორს **თემურ მეტრეველს.** ბატონი თემური ცოცხალი აღარაა, წარდგინებას მისი მეუღლე ლია მეტრეველი დაესწრო და სამადლობელიც მან მიიღო.

წიგნის ღირსებებზე და ავტორის პიროვნულ თვისებებზე ისაუბრეს: **გიორგი გაჩეჩილაძემ, ზურაბ ქაფიანიძემ, დავით წერედიანმა...**

შემთხვევით არ ჰქვია წიგნს „ის ოთხი წელიწადი." ილია ჭავჭავაძისეული ოთხი წლის სიმბოლიკა ნატო ჩხეიძის ბიოგრაფიაში თავისებურადაა გააზრებული და ამ წიგნში გადმოცემული. ნატო ჩხეიძე არც პეტერბურგიდან და არც ოკეანის გაღმიდან არ დაბრუნებულა საქართველოში, ის თითქოსდა მომავლის საქართველოდან დაბრუნდა და აწმყოს ერისა და მამულის წყლული დაანახა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ეს ოჯახი ჩხეიძეებისა ერთიანად იღვწის სამშობლოს უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

**დავეთანხმები ქალბატონ მაკა ჯოხაძეს, უცრემლოდ ვერავინ წაიკითხავს წიგნის შესავალ ნაწილს – მიძღვნას, გთავაზობთ ამონარიდს ამ ესედან:**

**„სიცოცხლე ოთარმა მასწავლა, ყველას ახლა ვტირი, ვინც კი აქამდე გარდამცვლიაო, – დედამ თქვა.**

**– რა ძნელი ყოფილა განშორება, – თქვი შენ ბოლოს, სულ ბოლოს.**

**მანამდე კი გვითხარი – გოგებაშვილს მიხედეთ. იაკობ გოგებაშვილს მოუარეთ.**

**რა ძნელი ყოფილა... და მოვდივართ შენთან.**

**დედა – ერთი ცალი წითელი ვარდით,**
**მე – ბლუჯა იებით,**
**როსტომი – მზერით, შენი მზერით, აქედანა და ქალდეამდე რომ გასწვდება.**
**ჩვენ ერთად ვართ.**
**ჩვენ შენთან ვართ, ოთარ ჩხეიძევ!.."**

**თამარ შაიშმელაშვილი.**

ფეხბურთი

# ჩაო, იტალია!

**უკვე შორეულ 1974 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ მუნდიალზე იტალია მსოფლიოს ვიცეჩემპიონის რანგში ჩავიდა და ჯგუფში ჩარჩა.**

**მას შემდეგ ყველაზე ტიტულოვანი ევროპული ნაკრები, ავად თუ კარგად (უმეტესწილად — გაჭირვებით), მომდევნო ეტაპზე მაინც გადიოდა და კიდევ ორჯერ (სულ — ოთხჯერ) გახდა გვირგვინოსანი.**

და აი, 36 წლის შემდეგ აპენინელებმა ერთხელაც შეირცხვინეს თავი — დიდი მაესტროს მარჩელო ლიპის გაწვრთნილი „სკუადრა აძურა“ სამხრეთ აფრიკაში დასრულებული სასტარტო ბატალიების შემდეგ სამშობლოში გააბუნძულეს.

მას შემდეგ, რაც სენსაცია მოხდა, ადვილია ვინმეზე ჯოხის გადატეხა, მაგრამ საკუთარი





აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს და სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

უპირველესად, ისმის კითხვა: რატომ არ ჩააბა ფავორიტთა თავკაცმა ბრძოლაში თავიდანვე კვალიარელა და პირლო. თუ „მილანის“ პლეიმეიკერმა ახლახან მოიშუშა ტრავმა და მისი სრულფასოვანი დატვირთვა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, გაუმართლებლად გვეჩვენება სათადარიგოთა სკამზე „ნაპოლის“ ბომბარდირის დატოვება. ის, რომ ფაბიოს დაუმსახურებლად არ ენდობოდნენ, დასკვნით წუთებში დადასტურდა, როცა მან სლოვაკთა კარში სამი გოლი გაიტანა და მისი ბრალი სრულიადაც არ არის, რომ ინგლისელ მსაჯთა ბრიგადამ ჰოვარდ უების ხელმძღვანელობით მხოლოდ ერთი ჩაუთვალა. თუ პირველ შემთხვევაში ოდნავ მაინც სათუო იყო, ბურთმა გადაკვეთა თუ არა ხაზი, 2:3-ზე, ვფიქრობთ, არარსებული თამაშგარე მდგომარეობა გამოუგონეს. თუმცა, ვიმეორებთ, ნაგვიანები გამოცოცხლებისთვის, ადრე თუ გვიან, იტალიელები უნდა დასჯილიყვნენ და დაისაჯნენ კიდეც. დალოცვილებს, თუ ასე აქტიურად თამაში შეეძლოთ, სად იყვნენ აქამდე, აუცილებლად კვერცხი უნდა მოსწოლოდათ? რაც შეეხება ვლადიმერ ვაისის შეგირდებს, მოკლედ მოვჭრით: ბარაქალა მათ!

შესანიშნავი საღამო უძღვნეს ქომაგებს იაპონელებმა, რომელთა მსხვერპლნი ამჯერად დანიელები აღმოჩნდნენ — 3:1. აზიელებს მერვედფინალში გასასვლელად ფრეც აწყობდათ, მაგრამ მეტოქეს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს და დიდოსტატურად შესრულებული საჯარიმოებით პირველივე ტაიმში გაგზავნეს მეტოქე ნოკდაუნში — 2:0 (ჰონდა, ენდოძ, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ ეპიზოდში პარტნიორები სკანდინაველთა მეკარე სორენსენმა დააღალატა.

შეხვედრის სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა, ტომასონისა და ოკაზაკის გაცვლილმა გოლებმა კი ტაკეში ოკადას გუნდის უპირატესობა დაადასტურა — 3:1.

ჩოგბურთი

# მარათონის ფინიში

**ჩოგბურთის სამყაროს ყურადღება უიმბლდონის ტურნირისკენაა მიპყრობილი, რომელშიც, ალბათ, განუმეორებელი რეკორდი დამყარდა: ამერიკელი ჯონ ისნერისა და ფრანგი ნიკოლა მაიუს მატჩი სამ დღეს, უფრო სწორად, 11 საათსა და 5 წუთს გაგრძელდა, გეიმების რაოდენობამ 183-ს მიაღწია, ყველაზე გრძელი მეხუთე სეტი ისნერმა 70:68 მოიგო; ისნერმა 112, მაიუმ კი 103 ეისი ჩააგდო, რაც, ასევე, რეკორდია.**



უიმბლდონზე მეორე საინტერესო ფაქტიც მოხდა: 33-წლიანი პაუზის შემდეგ ტურნირს დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ II ეწვია. მან ენდი მიურეის თამაშის ნახვა ისურვა. ახალგაზრდა ჩოგბურთელმაც იმედები არ გაუცრუა მონარქს და ფინელი იარკო ნიემინენი სამ სეტში დაამარცხა — 6:3, 6:4, 6:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **კაცები.** ფაბიო ფონინი (იტალიაძ—მაიკლ რასელი (აშშძ 3:6, 5:7, 7:5, 7:6, 6:3, ჟო ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთიძ—ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინაძ 6:4, 6:4, 6:7, 5:7, 10:8, სემ კუერი (აშშძ—ივან დოდიგი (ხორვატეთიძ 6:2, 5:7, 6:3, 7:6, დავიდ ფერერი (ესპანეთიძ—ფლორან სერა (საფრანგეთიძ 6:4, 7:5, 6:7, 6:3, რაფაელ ნადალი (ესპანეთიძ—რობინ ჰაასე (ჰოლანდიაძ 5:7, 6:2, 3:6, 6:0, 6:3. **ქალები.** სერენა უილიამსი (აშშძ—ანა ჩაკვეტაძე (რუსეთიძ 6:0, 6:1, დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთიძ — აიუმი მორიტა (იაპონიაძ 6:7, 7:6, 7:5, მარია შარაპოვა (რუსეთიძ — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთიძ 6:1, 6:4, ნა ლი (ჩინეთი) — კურუმი ნარა (იაპონია) 6:2, 6:4, აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთიძ — ალბერტა ბრიანტი (იტალიაძ 6:2, 6:0, კაროლინ ვოზნიაცკი (დანიაძ — კაი ჩენ ჩანგი (ტაივანიძ 6:4, 6:3, ვიქტორია აზარენკა (ბელარუსიძ — ბოიანა იოვანოვსკი (სერბეთიძ 6:1, 6:4, ფლავია პენეტა (იტალიაძ — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთიძ — 6:1, 6:1, კაია კანეპი (ესტონეთიძ — ედინა გალოვიტცი (რუმინეთიძ 6:4, 7:5.



კადრი




ჭადრაკი

## სტარტი ჯერმუკში

**სომხურ საკურორტო ქალაქ ჯერმუკში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის სერიის მე-4 ტურნირში ორი ქართველი დიდოსტატი — ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და ნანა ძაგნიძე მონაწილეობენ.** შეჯიბრების სტარტზე ძაგნიძემ ევროპის ჩემპიონ ანტუანეტა სტეფანოვას სძლია, ხოლო ჩიბურდანიძე სომეხ ელინა დანიელიანთან დამარცხდა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: პია კრამლინგი (შვედეთიძ — ტატიანა კოსინცევა (რუსეთიძ 0,5:0,5, ბაირა კოვანოვა (რუსეთიძ — მარტა ფიერო (ეკვადორიძ, 1:0, სიუ იუჰუა (ჩინეთიძ — ლილით მკრტჩიანი (სომხეთიძ 0:1, ჰოუ იფანი (ჩინეთიძ — შენ იანი (ჩინეთიძ 0:1.



ინტერნეტიდან

## ყაიმი პრეზიდენტთან



**ჭადრაკში მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი ანატოლი კარპოვი წინასაარჩევნო ტურნეს მართავს სამხრეთ ამერიკაში, რათა ოკეანისგაღმელთა მხარდაჭერა მოიპოვოს ფიდეს პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში. ამჯერად იგი ბოლივიას ეწვია და ქვეყნის პრეზიდენტ ევო მორალესთან ამხანაგური შეხვედრაც გამართა.** პარტია პრეზიდენტის სასახლეში მოეწყო და სახელმწიფო ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცა. კარპოვმა შავი ფიგურებით კარო-კანის დაცვა გაითამაშა და მე-20 სვლაზე მეტოქეს ზავი შესთავაზა. „ასეთ სიმაღლეზე პირველად ვითამაშე“, — განაცხადა ორთაბრძოლის შემდეგ რუსმა დიდოსტატმა. იგი გულისხმობდა როგორც მეტოქეს, ასევე, ზღვის დონიდან 3,5 ათას მეტრს, რომელზეც ბოლივიის დედაქალაქი ლა-პასი მდებარეობს.

## რომის პაპი გერმანელებს ქომაგობს

**რომის პაპი ბენედიქტ მე-16 ქომაგობს გერმანიის ნაკრებს, რომელიც განის ეროვნული გუნდის დამარცხების შემდეგ სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე გავიდა.** ეს არცაა გასაკვირი — რომის პაპი, ეროზაში იოზეფ რატცინგერი, ხომ წარმოშობით გერმანელია.



იუბილე

# მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა 75 წლისაა



**მსოფლიოში პირველი საბავშვო ქართული რკინიგზა 75 წლის გახდა. XXI საუკუნის პატარებისთვის კოხტა საბავშვო მატარებელი შეიძლება დიდად განსაცვიფრებელი სიახლე არ არის, მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში ციცქნა ვაგონებისთვის ლიანდაგის დაგება მართლაც რომ დიდი მოვლენა იყო.**

ყველაფერი დაიწყო 1935 წელს, როცა სპექტაკლი „მატარებელი“ დაიდგა. ერთი ბავშვი ვაგონის მემანქანის როლს ასრულებდა, ხოლო დანარჩენები – მასზე მოზმული პატარები, ვითომ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდნენ. ერთხელაც მეოცნებე პატარა მსახიობმა რეჟისორ კონსტანტინე ვაისერმანს უთხრა: რა მოხდებოდა საბავშვო მატარებელი რომ არსებობდესო. რეჟისორმა რკინიგზის მოსურნე უამრავი პატარა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს აახლა და ძალიან მალე დიდი ოცნებაც ახდა. მაშინდელი ოქტომბრელებისა და პიონერების აქტიური ცხოვრება მუშთაიდის ბაღში აშენებული საბავშვო რკინიგზის გარეშე წარმოუდგენელიც კი იყო...



დღეს 75 წლის პირველი საბავშვო ორთქმავალი ამაყად ამშვენებს მუშთაიდის ბაღის პეიდესტალს...

რკინიგზის იუბილე 24 ივნისს მუშთაიდის ბაღში ახალი თაობის ბავშვებმა ხმაურიანად აღნიშნეს. „პიონერფილმის“ აღსაზრდელებმა დიდი ზეიმი გამართეს და უამრავი პატარა დაპატიჟეს. სამწუხაროდ, დანაპირები ვერ აასრულა რკინიგზის ადმინისტრაციამ. როგორც დირექტორმა ავთანდილ რამაზაშვილმა გვითხრა, თბომავალი დაძველდა, ამიტომ ძალიან დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ტექნიკური მიზეზით, მათი გამართვა შეუძლებელი გახდა და ბავშვებმაც ვერ გაისეირნეს. სამაგიეროდ, ზეიმის შემდეგ პატარები სხვადასხვა ზღაპრის გმირებმა გაახალისეს, ხოლო „მაკდონალდსმა“ ფორთოხლის წვენი, უგემრიელესი ნაყინი და ფერადი საჰაერო ბურთები მიართვა სტუმრებს. მუშთაიდში გამართულ ზეიმს ესწრებოდა ირანის ელჩიც (მუშთაიდის ბაღი ხომ სპარსელმა სასულიერო პირმა გააშენა XIX საუკუნეში გარდაცვლილი ქართველი მეუღლის ხსოვნის პატივსაცემადძ.

იუბილემ კარგად ჩაიარა, მაგრამ იყვნენ ისეთი მშობლებიც, რომლებიც მუშთაიდის ბაღის ადმინისტრაციის მიმართ უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ: წინასწარ ტელევიზიით დაანონსებული დაპირება, მუშთაიდში საიუბილეოდ ატრაქციონები უფასო იქნებაო, ტყუილი გამოდგა. მაგრამ ამის გამო არ მოუწყენიათ იქ მისულ პატარებს, რადგან ერთი-ორ კარუსელზე შემოსკუპება მაინც ყველამ შეძლო, ყელიც ჩაიგემრიელა და უამრავი ლამაზი სიმღერითაც ისიამოვნა. სხვა რაღა უნდოდა 75 წლის მოხუც იუბილარს...

**ნია ფიფია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

---

ახალი რვეულიდან

**გურამ გომართელი**

## „სევდის ბაღს შევედ...“

**მივყვები ფიქრებს**

ვერის ბაღთან ყმაწვილკაცი
შვილს რომ მხარზე ვისვამდი,
იმედით და რწმენით სავსე –
ნეტავ მაშინ ვის ვგავდი?

ხან „ბუტილკას“ ვატარებდი,
ხან „გალიფეს“ ვიცვამდი,
ტანსაცმელი არა მცვლიდა, –
ნეტავ მაშინ ვის ვგავდი?

ხან ვთესავდი, ხან ვიმკიდი,
ხან ვთხრიდი და ხან ვრგავდი,
მეგობარს, რომ არ
ვკარგავდი, –
ნეტავ მაშინ ვის ვგავდი?

ვის ვგავდი და ჩემს თავს
ვგავდი,
ვძლევდი და არა ვკრთოდი,
ყოველ ნაბიჯს ფრთხილად
ვდგამდი,
ავს რომ არ გადავყროდი.

მოგონების ჟამი დადგა,
ჟამი ჭირთა თმენის,
ჟამი დილის მოლოდინის,
ჟამი ფოთოლცვენის,
ჟამი უდღეოზო კვირის,
ჟამი ჭერში ცქერის.

**ძმა...**

სული დამიობლდა,
ბედის რისხვამ შემძრა,
ველარ ვხედავ გვერდით,
მომფერებელ ჩემს ძმას.
ვიღას ვეკამათო,
ვის მივეყრდნო მხარზე,
ერთი ავი მითხარით,
ჩემს უმწიკვლო ძმაზე.

თითქოს ცხადად ვხედავ:
ეკლესიის გზაზე,
ბილიკ-ბილიკ მიდის
ტაატით და რიდით.
არ აწუხებს, არ ღლის
არც ბული, არც ხვატი,
გულზე მისვენია
ღმრთის მშობლის ხატი.
მალე წირვა იწყება,
აჟღერებენ ზარებს,
ჰოდა, ისიც შეაღებს
ეკლესიის კარებს.

**უპასუხო კითხვა**

აღმართ-დაღმართით ვიარე,
ხან ვზომე, ხან – ვწონე,
დარდიც გავიზიარე და
რჩევაც გავიგონე.
ხან ვიშოვე, ხანაც ვფლანგე,
ხან ახლობელს ვთხოვე,
ხან მდიდარი ვიყავი და
ხან არაფრის მქონე;
მაგრამ სახლი, ჩემი გვარი,
ჩემ ხატს გავუტოლე,
მშობლის სიტყვა
ლოცვასავით
საგზლად გავიყოლე.

დღეს კი უფლის
ხელშეწყობით
იმედად ვარ ქცეული,
მაშ, რატომ ვარ მარტოსული,
მაშ, რატომ ვარ ეული?

**ცოტა წავიხუმროთ**

ველარ გაგვირკვევია,
ევრო ვართ თუ აზია?
რომელ ქვეყნებს გადაივლის,
გადამკვეთი ხაზია?

თქვენი არ მოიშალოთ,
კიდევ დიდხანს იმსჯელეთ,
გორისაში რომ მოსჩქეფს,
„რივერ“ ჰქვია იმ ღელეს?
ბაბუაჩემს ლადიკოს,
(ნაღდად ვიცი ასეაძ,
ნიძლავი არ დაუდევს,
„ევრო ვართ თუ აზია?“
... ქრისტიანი კაცი ვარ,
არავის არ დავწყევლი,
პასპორტში ჩავიხედე,
არ წერია – „ქართველი!“

---

ხსოვნა

# სიმონ ხეჩინაშვილი



გარდაიცვალა დიდებული პიროვნება სიმონ ხეჩინაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დამსახურებული მოღვაწე, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექიმი ოტორინოლარინგოლოგი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი; დაწერილი აქვს 180 მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომი. დაჯილდოებულია საკავშირო პრემიებითა და ორდენებით. მსოფლიო დონის მეცნიერი, დიდი თეორეტიკოსი და ფიზიოლოგი, უნიჭიერესი ადამიანი ერთდროულად რამდენიმე ენაზე თარჯიმნობას უწევდა ევროპიდან ჩამოსულ მეცნიერებს.

იმ მძიმე და რთულ პერიოდში იძულებული იყვნენ უცხოეთში გაეგზავნათ მივლინებით. ცნობილი მეცნიერის ლექციების მოსმენა აინტერესებდათ.

თავის საქმეს მშვიდად, გულდინჯად და სიყვარულით აკეთებდა. საავადმყოფოს რომ აშენებდა, რომელიც ახლა მისი სახელობისაა, ყველა ნიუანსს თავად აკონტროლებდა. კარგი მოსაუბრე და გონიერი მრჩეველი იყო. მეგობრებთან ყოფნა უყვარდა, ღიმილიანი და ხალისიანი მასპინძელი იყო, თუმცა, შეიძლება გაშლილი სუფრა მიეტოვებინა, კაბინეტში ჩაკეტილიყო – უეცარი ფიქრი, ახალი იდეა და ხვალინდელი დღის საკეთებელი არ ასვენებდა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ჭეშმარიტ მამულიშვილს, ამაგდარ მეცნიერს და თანაუგრძნობს ოჯახს.

*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*
*მერაბ ბერძენიშვილი*

---

დავით ხვედელიანი ოჯახით გულწრფელად თანაუგრძნობს ქალბატონ ქეთევან ჩიქოვანს, თამარ და ნინო ხეჩინაშვილებს აკადემიკოს

სიმონ ხეჩინაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გახსენება

# არსენ ხატიაშვილი




ერთი წელი გავიდა, რაც მამამ დაგვტოვა. მოულოდნელად წაგვართვა იგი სიკვდილმა, მისი ხმა, სიცილი უზომოდ გვენატრება მე და ჩემს დებს. მოძღვარმა გვითხრა, მისი სული ზეციდან გლოცავთო...

იგი 1971 წელს სოფელ ტიბაანში დაიბადა. დაამთავრა ტიბაანის საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინჟინერიის ფაკულტეტი. მამას ძიუდოს სიყვარული ბავშვობიდან გამოჰყვა.. 6 წლის ასაკიდან დაიწყო ვარჯიში და აქტიურად ჩაერთო შეჯიბრებებში, 19 წლამდე გულმოდგინედ და დაუზოგავად მიჰყვებოდა ძიუდოს, თუმცა ტრავმების გამო სპორტს თავი დაანება...

მეც მამამ შემაყვარა ძიუდო, ბავშვობიდან მასწავლიდა, როგორი ვაჟკაცური სპორტი იყო...

მეგობრებს მამა ძალიან უყვარდათ დიდსულოვანი და ვაჟკაცური ხასიათის გამო, უყვარდათ მისი იუმორი, უხაროდათ მასთან ერთად მოლხენა...

ახლა ვიგრძენი, რამხელა სახელი და სიყვარული დატოვა მამამ ყველას გულში. სიკეთითა და უშურველობით გამორჩეული ძალიან დაგვაკლდა.

ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ ხალხის პატივისცემასა და განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ყველა მცნობს, როგორც არსენა ხატიაშვილის – ვაჟკაცისა და კეთილშობილი ადამიანის – შვილს და ამით ვარ ბედნიერი...

ნათელში იყავ, მამა!

**მანანა ხატიაშვილი**

---

ინფორმაცია

## თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ირანის მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს 1976 წ. დაბადებული ნუკრი მახარაძე, რომელიც ეჭვმიტანილია 2010 წლის 23 ივნისს, ქ.თბილისში ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ირანის მოქალაქის ჰუსეინ კაზალიზადეს მკვლელობაში.

დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული. საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გამოძიებას აწარმოებს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო.

ჯი-ეიჩ-ენი

სულიერება

# ძირით ქართველი, საქმით უზადლო

## 26 ივნისი წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეა

**წმინდა ანთიმოზ ივერიელი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო; მან იცოდა მრავალი უცხო ენა, ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს, ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, ნიჭიერი მოქანდაკე და მხატვარი.**



საგულისხმოა, რომ ქართველი ადამიანი რუმინული სალიტერატურო ენის რეფორმატორად ითვლება, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და დიდად ეხმარებოდა მას ქართული სტამბის შექმნაში.

საქართველოში დაბრუნებული ანთიმოზი ჩრდილო კავკასიელებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს. ამის შემდეგ იგი ვლახეთში მოხვდა.

ანთიმოზმა, რომელიც ყველგან და ყველაფერში ხაზს უსვამდა, რომ „ძირით ქართველი იყო", შეძლო გადაექცია ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად. მან 20-ზე მეტი ეკლესია ააშენა...

თურქმა ჯარისკაცებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მიტროპოლიტი ანთიმოზი მდინარე დუნაის ნაპირებზე. ასე დამთავრდა ქართველი წმინდანის ცხოვრება, რომელიც რუმინელი ხალხის სულიერი გაძლიერებისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისთვის იბრძოდა.

**გიული ლიპარტია**

დღის კალენდარი

## 26 ივნისი



ამოდის 04.27
ჩადის 19.40



ამოდის 18.06
ჩადის 02.19

**მღვდელმოწამისა ანთიმოზ ივერიელისა, უნგროვლახეთის მიტროპოლიტისა (1716წ; ქალწულმოწამისა აკვილინასი (293წ; ტრიფილე კვიპრელი ეპისკოპოსისა (დაახლ. 370წ; ქალწულმოწამისა ანტონინასი (284-303წ; ანტიპატროს ბოსტრელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: ანასი (826წ და ძისა მისისა იოანესი (IXწ.**

### დაიბადნენ:

**1892 – პერლ ბაკი,** ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1973 წელს.

**1898 – ვილი მესერშმიტი,** გერმანელი ავიაკონსტრუქტორი. გარდაიცვალა 1978 წელს.

**1928 – თენგიზ ონიანი,** ნეიროფიზიოლოგი, პროფესორი.

### გარდაიცვალნენ:

**1836 – კლოდ ჟოზეფ რუჟე დე ლილი,** ფრანგი სამხედრო ინჟინერი, კომპოზიტორი, საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის „მარსელიეზას" ავტორი.

**1943 – კარლ ლანდშტეინერი,** ავსტრიელი იმუნოლოგი, აღმოაჩინა ადამიანის სისხლის ჯგუფები, ხოლო 1940 წელს – რეზუს-ფაქტორი. ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1945 წელი** – სან-ფრანცისკოში 50 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გაეროს წესდებას, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 24 ოქტომბერს. შეიქმნა გაერო.

**1976 წელი** – ტორონტოში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა – Canadian national Tower, რომლის სიმაღლეც 553,34 მეტრია.

**1988 წელი** – ამ წლიდან გაეროს გადაწყვეტილებით აღინიშნება ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.

**1988 წელი** – ამერიკელმა ლარი ტიუდორმა დელტაპლანით სიმაღლის რეკორდი დაამყარა – 4343,4 მეტრი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.**
**სამხრეთ აფრიკის თავისუფლების დღე.**
**მადაგასკარი** – დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

დედაქალაქი

# „ახალი ხიდი" განათდა

**დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი გასასვლელი, ფეხით მოსიარულეთათვის „ბნელ ხიდად" წოდებული მდებარეობს ჩუღურეთის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩის დასაწყისში. ამ გასასვლელით სარგებლობს სვანეთის უბნის მოსახლეობა, ასევე – გლდანი-ნაძალადევის მხრიდან მომავალი ავტობუსის მგზავრები. აქვეა ტრანსპორტის გაჩერებაც. აქედან გვირაბის გავლით მოხვდები კონსტიტუციის, ფიროსმანაშვილის, ჩუბინაშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ქუჩებზე, ფიროსმანაშვილის ქუჩიდან კი – ვაგზლის მოედანზე. ასე რომ, ხელსაყრელია ქუჩების დამაკავშირებლად. ახლახან გვირაბის თავზე გაიხსნა სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა".**



უწინ თუ გვირაბში ჩასასვლელი კიბეები დანგრეული იყო, გვირაბში გამავალი 150-მილიმეტრიანი წყალგამტარი მილი კი – დაზიანებული, და წვიმის დროს გვირაბში წყლის გუბე დგებოდა, ახლა გაკეთდა ახალი კიბეები ინვალიდების ეტლის ჩასასვლელით, მოაჯირი და კედლები გაილესა და გამოიცვალა გამტარი მილი. განახლებულ გვირაბში უკვე სასიამოვნოა გადაადგილება.



შპს „ლიზი" ჯგუფის ხელმძღვანელმა ვაჟა ჭულუხიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ობიექტის სამუშაო ხიდის თავზე არსებულმა მატარებლის ლიანდაგებმა გააჭიანურა. სამაგიეროდ, ახლა აღდგენილ გვირაბში აღარც წყალი ჩავა და არც წყალგამტარი მილიდან დაიტბორება.

**ნატა ნიბლაძე**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8402 ლარი |
| 1 ევრო | – 2.609 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7546 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9333 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

უზომოდ მსუქანი ტიპი დიეტოლოგთან მივიდა.

– აი, თქვენ სიმსუქნის საწინააღმდეგო ტაბლეტები, მაგრამ ისინი არ უნდა დალიოთ, – უთხრა ექიმმა გასინჯვის შემდეგ.

– თუ არ დავლიო, როგორ მომიხდება?

– ძალიან უბრალოდ. დღეში სამჯერ გადმოყარე ეს ტაბლეტი ქილიდან იატაკზე და სათითაოდ აკრიფე.

* * *

– მამი, რა მოაქვთ წეროებს?

– ქაოსი და ნგრევა, შვილო...

* * *



დილით მიხომ გაიღვიძა, გაიზმორა და გვერდით მწოლ ქალს ჰკითხა:

– არ გინდოდა, მამაკაცი ყოფილიყავი?

– შენ?

* * *

ქალი ბავშვობიდანვე ისეთი საშინელი შესახედავი იყო, რომ ქალწულად გარდაიცვალა.

* * *

– ვანო, გაიგე, მიხო დაუჭერიათ.

– რას ამბობ, კაცო, აბა, მისმა ცოლმა რომ მითხრა, თავის ძმასთან წავიდაო? მომატყუა?

– არა, კაცო, არ მოუტყუებიხარ, მისი ძმა უკვე ორი წელია ზის...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.